„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქტორი ფიალა ყოველ დღე, გარდა 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 19. კვირა, 22 მაისი 1905 წლისა. № 19.

შინაარსი: ბიუროკრატია და რეფორმები.—ომის ამბები.—ნახიჩევანში მომხდარ ამბების გამო.—სხვა-და-სხვა ამბები.—დაბა-სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—თავის გამართლებაც ასეთი უნდა! ფ. მახარაძისა.—საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში (გაგრძელება), ანისა.—დედაკაცი და მისი მდგომარეობა.

ბიუროკრატია და რეფორმები.

არც ერთ დროს რუსეთის ხალხს არ განუცდია ისეთი საშინელი უბედურება, რომელიც დღეს მას თავს დაატყდა. მხოლოთ გამოცდილი მხატვრის კალამს შეუძლია იმ საზარელ და აღმაშფოთებელ გარემოებათა აღწერა, რომლებშიაც დღეს ჩვენ გვიხდება ცხოვრება. ომი შინ, ომი გარეთ. სრული დამარცხება-განადგურება ჩვენი ქებული მხედრობისა, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე. სამშობლოს ჯანსაღ შვილების ამოჟლეტა, ასი და ათასი მილიონების, იმ მილიონების, რომლებიც მშრომელი ხალხის ოფლით მონაგარია, გაფლანგვა და ტყუილა-უბრალოთ ჩაღუპვა. სახლში ბიუროკრატიული წესწყობილების წარმომადგენლებსა და ხალხს შორის ატეხილი ბრძოლა; სრული ძალმომრეობა და თვითნებობა ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობათ და ჩასანარწყავათ; მუშების გაფიცვები, გლეხების არეულობები, რომელთაც შიმშილი, უკიდურესი სიღატაკე იწვევს; უმაღლეს სასწავლებლების დაკეტა, ზოგიერთ საშუალო და თითქმის დაბალს სასწავლებელში სწავლის შეწყვეტა; ყველა ამასთან ,,შავი რაზმის“, ხულიგანების, საზოგადოების ნაძირალთა ბნელი ელემენტების გამოსვლა საზოგადოების ბრწყინვალე, ნათელ და ცხოველმყოფელ ელემენტებთან საბრძოლველათ. ურიების და სომხების ასეთ შავი რაზმების საშუალებით აწიოკება და გაჟლეტა. იმავე დროს საზოგადოების ძალების დაქსაქსვა და აწინდელი ბრძოლისათვის მოემზადებლობა. ამაში გამოიხატება დღევანდელი კრიზისი, დღევანდელი გამოურკვეველი მდგომარეობა. არავინ არ არის უზრუნველ ყოფილი, რომ ყოველ წუთში მაზე არ იქნება ნახმარი ძალმომრეობა, არ შეიქნება მსხვერპლი თვითნებობისა.

როდემდის გაგრძელდება ასეთი საერთო მოუსვენარი, გამოურკვეველი და საშიში მდგომარეობა? მოელის ამას დასასრული, თუ ჩვენ ვერ ვეღირსებით დამშვიდებით ცხოვრებას, ადამიანის პიროვნების უზრუნველყოფილ მდგომარეობას? აი კითხვები, რომლებიც ყველა ჩვენგანს ძალა უნებურათ ებადება თავში და პასუხს თხოულობენ. სად არის ის ძალა, რომლის საშუალებით საზოგადოება უნდა განთავისუფლდეს იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მას კარზე ადგას? ერთათ ერთი საშუალება დაუყონებლივ დამფუძნებელი კრების მოწვევაა, ე. ი. ხალხის წარმომადგენელების, მის მიერ თავისუფლათ არჩეულ დეპუტატების შეკრება და მართლაც, ვინ უნდა ამოიღოს ხმა ხალხის გასაჭირზე, ვინ უნდა იხსნას იგი განსაცდელისაგან, თუ არა თვით ხალხმა, მის მიერ ამორჩეულ წარმომადგენლების საშუალებით. მაგრამ ვინ უნდა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება? როგორ, რა გზით უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების შეკრება ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილების დასაფუძნებლათ? უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ამას მოახდენს თვით ბიუროკრატია, ე. ი. იმ პირთა კრებული, რომლებმაც შექმნეს და გამოიწვიეს დღევანდელი საშინელი კრიზისი. ასეთი იმედი დაბადა და განამტკიცა 12 დეკემბრის მანიფესტმა და 18 თებერვლის რესკრიპტმა. 18 თებერვლის რესკრიპტის ძალით საშინაო საქმეთა მინისტრს ბულიგინს ებრძანა სათათბირო კომისიის შედგენა, მისივე თავმჯდომარეობით, იმ წესების შესამუშავებლათ, რომლების საფუძველზე უნდა მოწვეული იქმნას ხალხის წარმომადგენლები ზოგიერთ საკანონმდებლო განზრახვათა შემუშავების დროს. იმავე რესკრიპტის ძალით, როგორც კერძო საზოგადოებათ, ისე ცალკე პირებს ნება ეძლევათ შეკრებილიყვენ და გამოეთქვათ თავის მოსაზრებანი სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესობის შესახებ. მაგრამ ამის შემდეგ გავიდა აგერ სამ თვეზე მეტი და ბულიგინის კომისიის შესახებ საზოგადოებამ და პრესამ არაფერი სარწმუნო არა იცის რა. რაც შეეხება კერძო საზოგადოებათა კრებებს, ეს მინისტრის განკარგულებით ისეთ პირობებში ჩააყენეს, რომ ის მხოლოთ მარტოოდენ ქაღალდზე დარჩა. ამავე დროს ყველა აშკარათ ხედავს, რომ ბიუროკრატიას ფეხიდან ყოველ გვარი ნიადაგი ეცლება, რომ მან დაკარგა ყოველივე ნდობა საზოგადოების თვალში. მაგრამ თუ ყურადღებას მიაქცევთ იმას, რაც დღეს ბიუროკრატიის მაღალ სფერებში ხდება, მეტათ გაოცებული დარჩებით. თითქო აქ არც-კი ამჩნევენ, თუ საზოგადოებაში რა მოძრაობა მწიფდება, რა ძალა იღვიძებს მის შესამუსრავათ. პირიქით, იქ თქვენ ხედავთ რომ დღე ისეთი არ გაიელის, რომ რაიმე ახალი კომისია ან რჩევა არ დაარსონ რომელიმე მსხვილი ბიუროკრატის თავმჯდომარეობით ყველა იმ კითხვების გამოსარკვევათ და გადასაწყვეტათ, რომლებიც დღეს საზოგადოებას აღელვებენ, და რომლების გადაწყვეტა დღეს მხოლოთ ხალხისგან ამორჩეულ მთავრობას შეუძლია, და სხვას არავის. ასეთია, მაგ., აკრძალული საკითხი მუშების საქმე. ბეჭდითი სიტყვა, გაძლიერებული დაცვის წესდების გადაშინჯვა, გადასახლების საკითხი და სხვ. თუ კი ყველა ამ კითხვების გადაჭრა შეუძლია ბიუროკრატიულ მთავრობას, მაშინ რაღა საჭიროა ხალხის წარმომადგენელების მოწვევა, მაშინ რაღა აზრი აქვს დამფუძნებელ კრებას? ყველა ამ კომისიების დაარსება და აგრეთვე ის, რომ ბულიგინის კომისიას დღემდე არაფერი არ გამოურკვევია, აშკარათ მოწმობს იმას, რომ ბიუროკრატიას არა გზით არა სურს ხალხის წარმომადგენელების მო-

წვევა, ვინაიდგან ეს მისთვის სიკვდილი იქნებოდა, და თავისი თავის მოკვლა ხომ ერთნაირი გმირობაა და მასთან სერიოზული დათმობა, რასაც არასოდეს არ ჩაიდენს ჩვენი ბიუროკრატია. მაშ სად უნდა ვეძიოთ გასავალი? მაშ როგორ, რა გზით უნდა განთავისუფლდეს ხალხის წარმომადგენლების შეკრება სახელმწიფოს ძირითად კანონების გამოსაცემათ? არის მხოლოთ ერთათ ერთი გზა ერთათ ერთი საშუალება,— ეს თვით ხალხის ინიციატივაა, მისი თაოსნობა, და არავის სხვისა.

ომის ამბები.

დიდი ხანია რაც ჩვენ ომის შესახებ არაფერი დაგვიწერია. და მართლაც, რაც იაპონელებმა მუკდენი და ტელინი დაიჭირეს და რუსის მხედრობა საშინლათ დაამარცხეს, ომის ველზე შესამჩნევი ცვლილება არა მომხდარა რა. ჟურნალ-გაზეთობა ამ ხნის განმავლობაში ომის შესახებ ავრცელებდა სხვა და სხვა სამხედრო ავტორიტეტის და კორესპონდენტების აზრს მომავალი შეტაკების შესახებ, როგორც ხმელეთზე, ისე განსაკუთრებით ზღვაზე. აქ კი სინამდვილეს ცოტათ მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი. უნდა შევნიშნოთ, რომ მას შემდეგ, რაც ადმირალი როჟდესტვენსკის ძლიერი ესკადრა, ოცდაათ მებრძოლ გემისაგან შემდგარი, ჩინეთის აღმოსავლეთის წყლებში გამოჩნდა, მთელი ქვეყნის ყურადღება განსაკუთრებით ზღვის ბრძოლაზე იყო მიპყრობილი. ამ მოსალოდნელი და აუცილებელი სისხლის ღვრის შესახებ, რა თქმა უნდა, სხვა და სხვა აზრისანი იყვენ. ბევრს ჯეროდა, რომ ადმირალი როჟდენსტვენსკი თუ სასტიკათ ვერ დაამარცხებს და რუსის ფლოტის წარსული დამარცხებათა შურს ვერ იძიებს, იმდენათ მაინც დაამარცხებს ადმირალ ტოგოს ესკადრას, რომ იაპონელებს ხმელეთზე ომის გაგრძელებას ხელს შეუშლისო. ასეთი აზრის მოხმხრენი სრულებით არ ცდილობდენ ყველა გარემოების აწონ-დაწონვას. არ ფიქრობენ იმაზე, რომ ადმირალ ტოგოს ყავდა საუკეთესო ესკადრა, რიცხვით არა ნაკლები რუსის ესკადრაზე, გაწვრთნილი, გამოცდილი და გამარჯვების შარავანდედით შემოსილი მეომრებით, რომლებიც თავის თავს შინ გრძნობდენ და ყველა ადგილებს ზედ მიწვენით იცოდენ, საცა კი შესაძლებელი იყო ბრძოლის მოხდენა. გარდა ამისა როჟდენსტვენსკის ესკადრას, მას შემდეგ, როცა ის იაპონიას მიუახლოვდებოდა, არ ჰქონდა არც ერთი გასაჩერებელი ადგილი, სადაც მას შეეძლო საჭირო სურსათი და ნახშირი ეშოვნა. როცა როჟდენსტვენსკი ბალტიის ზღვიდან შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრა, მაშინ რუსების ხელში პორტ-არტური იყო, და ეს მისთვის დიდი იმედი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც პორტ-არტური დაეცა, როჟდენსტვენსკის მისიამ ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა დაკარგა. განა როჟდენსტვენსკის ამოდენა ხნის (მთელი შვიდი თვის) განმავლობაში ზღვაში ყოფნის შემდეგ შეეძლო იაპონიის ძლიერ ესკადრას თავისივე კარებთან თავზე დაცემოდა, დაემარცხებია და შემდეგ ვლადივასტოკის პორტში მოსულიყო? ეს მხოლოთ სასწაულით თუ მოხდებოდა, თორემ ჰკუაში მყოფი კაცი ამას ვერ იფიქრებდა. მაშ სად მიდიოდა როჟდენსტვენსკი? რა უნდა შეესრულებია მას? იგი მიდიოდა პირდაპირ დაღუპვისაკენ. იმას გამარჯვება არ ეწერა. მართალია, საომრათ რომ კაცი მიდის, იმას არ უნდა ეშინოდეს არც დამარცხების და არც სიკვდილის, მაგრამ ომში იგი ისე არ უნდა წავიდეს, თუ წინდაწინ გათვალწინებული არა აქვს როგორც თავისი, ისე მტრის ძალა. თუ მან წინდაწინვე არ იცის მტრის ძალა, და ისე მიდის მასთან საბრძოლველათ, ასეთი კაცი ჰკუაზე ხელაღებული უნდა იყოს. თვით როჟდესტვენსკის საშვალება არ ჰქონდა მტრის ძალა ცოტნედ-ოდენ მაინც ვალდებული იყვენ ეს ძალა სცოდნოდათ, და ამის კიდევაც იცოდენ, მაგრამ ვის რა ენაღვლებოდა სხვისი დაღუპვა, სხვისი ფულით მონაგარი სიმდიდრის განადგურება. საქმე ხომ მაინც წამხდარი იყო და ამით მხოლოთ დროს მოგება უნდოდათ, მაგრამ როცა იქნებოდა, სასტიკი სინამდვილე ყველას თვალ წინ უნდა დადგომოდა. მოახლოვდა შეტაკების დრო, იაპონელები დიდი ხანია გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდენ რუსის ესკადრის მოძრაობას. უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით, იმათ დაბეჯითებით და სისწორით იცოდენ, თუ რუსის ესკადრა სად იმყოფებოდა, ან საით დაიჭერდა კურსს. როჟდესტვენსკიმ კი თითქმის არაფერი არ იცოდა იმის შესახებ თუ სად იყო იაპონიის ესკადრა და მაშასადამე მუდამ საფრთხეში და ძრწოლაში იმყოფებოდა, ვინაიდგან არ იცოდა, როდის, რა წუთში დაეცემოდა მას მტერი. ეს საიდუმლოება აორკეცებდა მის საშიშარ მდგომარეობას. ამ შიშსა და ძრწოლაში გათენდა რუსეთის მხედრობისათვის და გულ სუსტის ხალხისთვის შაკბედითი დღე 14 მაისი. იგი დღე დაუვიწყარი დარჩება არა მარტო რუსის ხალხის ისტორიაში, არამედ მთელ-ქვეყნიერობის ისტორიაშიაც. მთელი ორი დღე და ორი ღამე გაგრძელდა ეს უმაგალითო ბრძოლა, რასაც რუსის ესკადრის სრული განადგურება მოყვა, ამ ორ დღეში რუსეთმა დაკარგა თერთმეტი საუკეთესო ჯავშნიანი გემი, რომელთაგან შვიდი («ჯნიაზ სუვოროვი», «იმპერატორი ალექსანდრე III», «ბოროდინო», „ოსლიაბია", «სისოი ველიკი», „ნავარინი", და „ადმირალი უშაკოვი") წყალში ჩაუძირავთ და ოთხი („ორიოლი", „იმპერ. ნიკოლოზი I", „გენერალ ადმირალი აპრაკსინი" და „ადმირალი სინიავინი") ტყვეთ არიან წაყვანილნი. გარდა ამისა იაპონელებს ჩაუძირავთ კიდევ ოთხი კრეისერი, ორი სატრანსპორტო გემი და კიდევ რამდენიმე ტყვეთ წაუყვანიათ, ასე რომ, რამდენათაც დღემდის გამორკვეულია, რუსებს დაუკარგავთ სულ 22 გემი. გარდა ამისა იაპონელებმა დაატყვევეს თვით ესკადრის უფროსი ადმირალი როჟდესტვენსკი და კონტრ-ადმირალი ნებოგატოვი, რომელთაგან პირველი დაჭრილია მძიმეთ. ერთი სიტყვით ეს ისეთი დამარცხებაა, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არ ახსოვს. რამდენიმე ათას მეომრებთან ერთათ შორეულ აღმოსავლეთის წყლებში დაიძირა და დაიღუპა აუარებელი სიმდიდრე გემების და იმათი მოწყობილობის სახით. რას უნდა გრძნობდეს ამ დაღუპულთა ნათესავები და მეგობრები, რას უნდა გრძნობდეს დღეს მთელი რუსეთის ხალხი, თუ მას სრულებით არ დაუკარგავს გრძნობა? სად მიდის ამოდენა მსხვერპლი? რისთვის იფლანგება და იღუპება ამოდენა სიმდიდრე? მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, წელიწადი და ხუთი თვე გავიდა, რუსეთის მხედრობას გარდა დამარცხებისა, არა გამოუცდია რა არც ხმელეთზე და არც ზღვაზე. ნახევარი მილიონი ჯანსაღი ხალხი ან გაიჟლიტა და სრულებით დაიღუპა, ან სამუდამოთ დასახიჩრდა; იმავე დროს რამდენიმე მილიარდის ქონება ჩაიღუპა, და ჩვენ მარტო დამცირების და შეურაცყოფის მეტი არა გვრგებია რა. მაგრამ რა არის ამ უმაგალითო დამარცხების და საშინელ შეურაცყოფის მიზეზი? ტყუილი ფიქრი იქნება, თუ ჩვენ ჩვენი დამარცხების მიზეზათ იაპონიას დავასახავთ. არა და არა. პირ-იქით, იაპონია ამჟღავნებს რუსეთის მხედრობის ნამდვილ დამარცხების მიზეზს, ე. ი. რუსეთის ხალხის ნამდვილ მტერს. ეს მტერი აქ არის, და იგი დღეს ბიუროკრატიის სახელით არის მონათლული. აი ვინ დაამარცხა რუსეთი, აი ვინ შეურაცხყო და ვინ შეარცხვინა რუსეთის ხალხი მთელ კა-

ცობრიობის წინაშე! ბიუროკრატიამ გახრწნა და გაათახსირა ჩვენი ხალხი, და ბოლოს გამოიწვია ყოვლად უაზრო ომი იმ იაპონიასთან, რომელთანაც რუსის ხალხს არაოდეს არაფერი სამტერო არ ქონებია და არც ექნება. სადა ხარ რუსეთის ხალხო, რათ ხმას არ იღებ? შენი სახელით ამოდენა უდანაშაულო სისხლი იღვრება! შენი შვილები სიცოცხლეს წირავენ, ულუკმაპუროთ ტოვებენ მშობლებს, ცოლ-შვილს და ნათესავებს! რათ არ ეძიებ, რათ არ კითხულობ, თუ ვისთვის ან რისთვის ხდება ეს ასე? უნდა იცოდე, რომ მხოლოთ შენი მედგარი ხმა შეაჩერებს ამ საშინელ სისხლის ღვრას! თორემ როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს? ან რა აზრი უნდა ქონდეს ამ გაგრძელებას? დღეს შენ უნდა მოითხოვო ომის შეწყვეტა და პასუხის გებაში მიცემა ყველა იმათი, ვინც ეს საზარელი სისხლის ღვრა გამოიწვია. («ს. ოტ.»)

ნახიჩევანში მომხდარ ამბების გამო.

კიდევ ჟლეტა, კიდევ დარბევა—აწიოკება, კიდევ უდანაშაულო ხალხის დანთხეული სისხლის მორევი! თითქოს არ კმაროდა ის საშინელი სისხლის ღვრა, რომელიც ბაქოში მოხდა ამ წლის თებერვალში, და მრავალი სხვა ასეთი უბედურება, რომლის მოწამეა დღევანდელი რუსეთი. საზარელი შავი ძალა, რომელიც ასეთ ნობათებს უმზადებს დღევანდელს, უიმისოდაც გაჭირვებულ ცხოვრებას, გაუმაძღარ ყორანივით თავს დაჩხავის შეუგნებელ ადამიანთა ბრბოს და ძმას ძმას უსევს ასაკლებათ და ასაწიოკებლათ. ვინ იცის, ვინ არის თავმდები რომ ის, რაც ბაქომ და ნახიჩევანმა განიცადა, დღეს თუ ხვალ სხვა ადგილებსაც არ მოელის? ვის შეუძლია თვალყური ადევნოს „ბნელი ძალების "მოქმედებას და მიხვდეს თუ დღეს სად ამზადებს ნიადაგს თავის საზიზღარ ნადიმისათვის? და მერე რომც ვიცოდეთ, რა აღგილს მოელის ასეთი განსაცდელი,—ვინ არის დამხმარე, ვინ არის ისეთი რომ ერთმანეთზე არ მიუშვას, არ მიუსისოს გონება დაბნელებული, უვიცი ადამიანები. ამ კითხვების პასუხი დღევანდელი საზოგადოებისათვის აშკარაა. ბაქოს და ნახიჩევანის უდანაშაულო მსხვერპლნი თავის თავათ ღალადებენ თუ როგორ აცხრობენ „ვისიც ჯერ არს" გაფთრებულ დაგეშილ ადამიანთა ბოროტ მოქმედებას. მხოლოთ ერთათ ერთი მტკიცე იმედი ანუგეშებს დღევანდელი ცხოვრებით ღაჩაგრულ ხალხს ასეთი უბედურების დროს: მტკიცე იმედი, რომ დიდ ხანს ვეღარ გასტანს ამ ნაირი ცხოვრება....

სხვა და სხვა ამბები.

— სოფ. ფცაში მოუკლავთ მემამულე თ-დი ლევან ამირეჯიბი,

— ქ. ახალციხეში ა. მელქონიანის ქარხნის მუშები გაფიცულან. მათი მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებიათ.

— როგორც გაზეთებში იუწყებიან, ოს-ჩაჩნებსა და ყაზახ-რუსებს შორის დამოკიდებულობა გამწვავებულა. რამოდენიმე მკვლელობაც მომხდარა.

— როგორც გავიგეთ, გურიაში დაბანაკებული რაზმის უფროსი ალიხანოვი ერევნის გუბერნიაში გაუგზავნიათ. მის ნაცვლათ უფროსობა პოლკოვნიკ ალფტანისათვის ჩაუბარებიათ.

— დუშეთის მაზრიდან ატყობინებენ ,,ივერიას'': დუშეთში 65 კაზაკი მოვიდა. მათ მოსვლისთანავე სამაზრო ადმინისტრაცია შეუდგა მოთავე გლეხების დატუსაღებას და ათიოდ დღეში შვიდი კაცი დაპატიმრესო.

— ბაქოს გენერალ გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ საბჭოს კრებაზე ხალხი და გამგეობის წარმომადგენელნი აღარ შეუშვან. მიზეზათ უწესოებათა მოხდენას ასახელებენ.

— ქალაქში ბინების სიძვირემ აიძულა 8-ხაპოლიციო უბნის მცხოვრებნი, ქალაქის გამგეობაში განცხადება შეეტანათ ბინების ფასის დაკლების შესახებ, მაგრამ როგორც შევიტყვეთ ქალაქის გამგეობა არ აპირობს ამ საქმეში გარევას.

— ქ. ვერხნეუდინსკში 12 მაისს 1200 მუშა გაფიცულა ბოთლის საკეთებ ქარხნისა.

— 12 მაისს ქ. ეკატერინბურგში ასოთ ამწყობნი გაიფიცენ. გაზეთები ნახევარ ფურცლებათ გამოდის.

— ქ. ევპატორიაში ყველა დარგის მუშები გაფიცულან: მეეტლეები, მეფურნეები, წყლის მზიდავნი და სხ. არავითარი შეტაკება ჯერ არ მომხდარა.

— რიაზანის გუბ. ერთ მაზრაში სოფ. გრატოვკის გლეხები დასცემიან ერთი ვაჭარის ბინადრობას და აუკლიათ.

— ქ. ბრიანსკში 16 მაისს, წარმოდგენის დროს დიდი დემონსტრაცია მოუხდენიათ. პოლიციისა და ჯარის შემწეობით ხალხი გაუფანტავთ. ბევრი დაუტუსაღებიათ.

— ქ. არმავირიდან იუწყებიან დეპეშით: კავკავის რკინის გზის სადგურ გულკევირზე 16 მაისს სასტუმროში თავი მოიკლა გენერალმა კოვალიოვმა, რომელსაც ექიმი ზაბუსოვის წამება ბრალდება.

—

— კოკოვცევის კომისიის მეორე სხდომაზე შემდეგი ამბავი მომხდარა: სხდომაში მონაწილე მრეწველთა მონდობილებით მოსკოვის საბირჟო კომიტეტის წევრმა კრესტოვნიკოვმა განაცხადა: ვინაიდგან რუსეთს ასეთი უბედურება წაეკიდა, ჩვენ ვეღარ შეგვიძლია დამშვიდებით განვაგრძოთ კომისიაში მუშაობა, მით უფრო, რომ ამისთანა არეულობის დროს საჭიროა ჩვენ-ჩვენს ოჯახებში ყოფნა და ამიტომ გთხოვთ სხვა უფრო მოხერხებულ დროისთვის გადაიდვას სხდომა ამ კომისიისა. ჩვენ კარგათ გვესმის რომ სახელმწიფო ფულებს საჭიროებს და ამიტომ დროებით ასწიეთ ბაჟი 1906 წ. იმდენათ, რამდენიც საჭირო იქნებაო. კოკოვცევმა უპასუხა, ნამდვილია და მეც კარგათ მესმის თქვენი სულიერი მდგომარეობა, მაგრამ კომისიამ რომ მუშაობა შეაჩეროს, ამით დაირღვევა ინტერესი მუშებისა, რომელნიც დღით-დღე ელიან საქმის გადაწყვეტას და ამიტომ გთხოვთ ერთხელ კარგათ კიდევ გაარჩიეთ ეს საკითხი სხდომის დროებით შეწყვეტის დროსო. მრეწველთ სხდომის განახლებისას წინანდელი გარდაწყვეტილება გაუმეორეს კოკოვცევს, რომელიც იძულებული შეიქნა დაეხურა სხდომა, მაგრამ განუცხადა მათ, რომ ის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად განაგრძობს მოქმედებას, შეიმუშავებს კანონ-პროექტს უკვე განხილულ საკითხისას გაფიცვის შესახებ და გადავა შემდეგს კითხვებზე. ბოლოს მან მოისურვა, რომ წასულები ჩქარა დაბრუნდნენ და მით დახმარება გაუწიონ განზრახულ საქმეებში.

— ჩვენ გავიგეთ, რომ პეტრე მირიანაშვილი, რომელიც ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემის ნებართვას თხოულობდა, ახლა ქართული ენის ცენზურობის ადგილს თხოულობს და გაზეთის გამოცემაზე კი უარს აცხადებს.

— თფილისის ქალაქის რვა სამოლიციო ნაწილის მცხოვრებთ რიცხვით ათასამდე კაცს განცხადება შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში და თხოულობენ ბინისა და მაღაზიების ქირის დაკლებას. მდგმურები და მაღაზია-დუქნების მოქირავენი თხოულობენ ბინის ქირას 50 პროცენტი დააკლდეს. და ქალაქის თავს სთხოვენ, რომ მან ნება დართოს საზოგადო

ყრილობა მოახდინო, რათა მოილაპარაკონ და კაცები აირჩიონ თავიანთი მოთხოვნილების განსახილველებლადათ.

—ბაქოს გენერალ-გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია ადგილობრივ ქალაქის საბჭოს კრებაზე აღარ შეუშვან არც ხალხი და არც გამგეობის მოსამსახურეები. მიზეზათ მოხსენებულია ის „უწესოებანი“, რომელსაც საბჭოში ხალხი და მოსამსახურენი ახდენენ.

— როგორც დეპეშებიდან ჩანს, რუსეთის დატყვევებული მეზღვაურთა რიცხვი 14 და 16 მაისის ბრძოლის დროს ოთხი ათასამდე ასულა, მათ შორის ასი ოფიცერია. მოკლულთა და დაღუპულთა რიცხვი ჯერ არ იციან, მაგრამ ეჭვი არ არის, იგი ამაზე გაცილებით ბევრი იქნება.

— ქუთაისიდან იწერებიან: ლეჩხუმელებმა გაანთავისუფლეს დადეშქილიანი, რომლებიც ქუთაისში ჩამოვიდნენ, რომ გუბერნატორს გამოეცხადონ.—საპატიმროდან რამდენიმე პატიმარი გაიპარა.

— კავკასიის ნამესტნიკმა ი. კ. ზუბალაშვილს ნება დართო გამოცეს ქ. თფილისში ყოველ დღიური გაზეთი რუსულ ენაზე, სახელწოდებით „ზაკავკაზიე“.

— ქუთაისიდან გაზ. „ივერიას“ სწერენ: 14 ამ თვეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ადგილობრივ პოლიციმეისტრის და პროკურორის თანხლებით ინახულა ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილე და გაანთავისუფლა იქიდან 114 პოლიტიკური დამნაშავე. შეპყრობილთა უმრავლესობა გლეხები იყვენ.

შეცდომის გასწორება: ბ-ნ ვ. ნ. —ის წერილში „პასუხათ ილია ჭავჭავაძეს“ (იხ. „მოგ.“ № 18) 284 გვ. წერია: „არეულობამდე ილიაზე დედაბრის ჯამაგირი **ირიცხებოდა** 80 **თუმანი**“. უნდა იყოს: ირიცხებოდა 80 **მანეთი**.

დაბა—სოფლის ამბები.

სვანეთი. ქუთაისის გუბერნიის ყოველმა კუთხემ და სავრთოთ მთელმა რუსეთმა თუ შეიგნო თავისი უტანული ცხოვრების მიზეზები და ერთობით ბრძოლა გამოუცხადა მათ, არ ჩამორჩენია დღეს ამ მოძრაობას სვანეთიც. ადგილობრივმა მკვიდრმა მსწრაფლ შეითვისა თავის მეზობლებიდან დღევანდელი ჭირ-ვარამის ვითარება... აქაც ებობოქრდა ხალხი... აქაც შეიგნო ხალხმა თავისი მტრის ვინაობა და მისი სისუსტე-სიბოროტე... აქაც აზმაურდა ხალხი და შეუერთდა სავრთო ბრძოლაში გურულებს, იმერლებს და მეგრელებს...

სულ ორი თვე თუ იქნება რაც სვანეთში მღელვარება და მოძრაობა დაიწყო. მოძრაობამ პირველათ ქვემო (სადადიანო) სვანეთში იჩინა თავი. აქ არ შეუძლებია იმის აწერას, თუ რაში გამოისატებოდა პირველათ ის, არც იმის აწერას თუ როგორ გაანადგურეს სასოფლო კანცელარიები, როგორც კანონის ძალით მათი პირადებების დამამხინჯებელი და სკოლები, რადგან ბავშვების გონების გამაუებელი... დღეს ეგეც ასათვის, ვინც კი იცნობს სვანეთს, ცხადზე უცხადესია, რომ აქაურმა მკვიდრმა ცოტათ თუ ბევრათ შეიგნო თავისი მტრის ვინაობა და სისტემა ბრძოლა გამოუცხადა მას.

წინა დღეებში აქაურ საზოგადოებას მოუკლეს თავისი სუფეთესო ძოძე, მასწავლებელი და წინამძღოლი შამშე გელოვანი... ის მოკლეს დღისით... მისი მკვლელნი, რომელთა რიცხვი ექვსმეტს აღის, ეგუთვნიან თავად გარდაუხსძეთა გვარს... ბოლოდროს კი ჯერ-ჯერობით არავერ გამოძიებას არ შერება და მგონი არც კი შეუძლოს ამის შესახებ ოქმი, რაც მისი მხრივ ადვილი მოსალოდნელია... ხოლო მკვლელობას იძიებს ისევ ხალხი და დამნაშავეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები აქვთ მიღებული. გაბრაზებული და აბობოქრებული ხალხი, ერთი თავის საუკეთესო წინამძღოლის დაკარგვით, გარს შემორტყმია გარდაუხსძეებს და გარეთ არ უშვებს... სვანურ წესზე ისინი სისხლს თხოულობენ...

არც ზემო სვანები ჩამორჩენია თავის ძმებს, ქვემო სვანებს. აქაც იღვიძებს ხალხი... აქაც ებრძვის ის იარადით ადჭურვას და სავრთო ბრძოლაში მედგარ მოქმედებას... თუმცა ბატარ-ბატარა დღეც აქაც ეშჭირება მუდამ დღე ხალხს, მაგრამ მკაცრი და გაბედული მოძრაობა ჯერ არ მომხდარა და შემოხვევას უცდიან...

პირველათ ზემო სვანეთში სამინისტრო სკოლის მოწაფეებმა დაიწყეს გაფიცვა. როგორც ნამდვილი წყაროებიდან გვიგია მესტიადატლის ორკლასიანი სკოლის (დატლის საზოგადოებაშია) მოწაფეებს 19 მარტს გამოუცხადებიათ პროტესტი მასწავლებლებისათვის და ქუჩიდან დაუძახნიათ: „До свиданія г.г. учителя!.. не безпокойтесь, больше въ школу не придемъ!..“ პირველი იერიში იყო შკოლების წინააღმდეგ და აგრეთვე სხვებისათვის პირველი მაგალითი. წარმოიდგინეთ, რომ ყველა სკოლებზე ამ ამბავმა დიდი გავლენა იქონია და ყველგან საერთოთ ბავშვების რიცხვი შემცირდა. ჯერ-ჯერობით სწავლა არ შეწყვეტილა ოფიციალურათ, რადგან თითო-ორორი ბავშვი კიდე დაიარება ზოგიერთ შკოლებში... ჩავარდენ მასწავლებლები ფიქრში, რა ქნან ან როგორ იმოქმედონ შემდეგში... და აი კიდეც მოუნახავთ საშვალება...

აპრილის 4 სადამოზე მოუყრიათ თავი ზემო სვანეთის სამინისტრო სკოლის მასწავლებლებს და მეორე დღეს დიდი ჩურჩულის აქეთ-იქეთ ფიცა-ფუცის შემდეგ შესდგომიან თათბირს. ზოგიერთს, როგორც გვიგია დანამდვილებით, ძლიერ უჭირდათ სამართლის თქმა... წარმოიდგინეთ, ზოგს ჯამაგირის დაკავების ეშინოდა თურმე და ზოგს სრულიათ დათხოვნის, სამართლის თქმის გულისათვის... მაგრამ როგორც იყო გაბედეს და თქვეს, რისი თქმაც ეშინოდათ,. შეაყენეს ოქმი და კიდეც წარუდგინეს მთავრობას...

დასასრულ უნდა აღვნიშნო მეათხველის სიყურადღებათ, რომ სადადიშკელიანო სვანეთი თითქმის ჯეროვანათ მომზადებულია დღევანდელი მოძრაობისათვის და პროტესტის გამოცხადებას უპირებს აქაურ მეშამულეებს ადგილის განცემის შესახებ.

სკვინჩა.

—

ს. სარიყამიში (უარსის ოლქი). გვრავთარი ბოროტი, ბნედი ძალა გვერ აშინებს ბაწია სარიყამიშის მომწიფებულ საზოგადოებას. (აქაური საზოგადოება გაეთეთდება ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ. $^2/_3$ შეადგენენ მოსამხარეე პირნი, ბიუროკრატია, $^1/_3$ მკვიდრი მცხოვრებნი. წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, დიური მუშები (200), ნოქრები და ყველა ცხოვრებით დაბეჩავებულნი და სახეშეაც საზოგადოების $^1/_3$ შეადგენს). თანამედროვე ცხოვრების მოჯა ანჭარებით სცემს, მრავალი კრება გაემართა სხვა და სხვა საკრო-ბოროტო და თანამედროვე ცხოვრების კითხვების გადასაწყვეტათ. 8 მაისს კრებაზე ბჭობა ხანგრძლივი იყო, ზოგთა შეჯახ-შემოჯახება მრავალ ნაირი. პირველათ კრებას უნდა განეხილა კვირა-უქმე დღეს დუქნების დაკეტვის საკითხი, ბოლოს დაიდგინეს შემდეგი: 1) ამოარჩიეს 5 მსჯელი, რომელებმაც უნდა გაარჩიონ ურთი-ერთ შორის მომხდარი უკმაყოფილება და სხვა უხნეობა. ამ რიგათ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან შესწყვეტეს ყოველივე დამოკიდებულება.

2) აკრძალოს ლოთობა და ფულზე კარტის თამაში. ვინც ამ მუხლს პირველათ დაარღვევს—დაჯარიმებენ, მეორესელ-კი, ზნეობრივ სასჯელს გადაუწყვეტენ (ბოიკოტი). უნდა აღვნიშნო, რომ კრების დადგენილ მუხლების დარღვევაში აღებული ჯარიმა, მიეცემა საერთო კასისას. ამით დასრულდა 8 მაისის კრება. არ გაუვლია სამ დღეს, რომ ერთ ადგილობრივ მცხოვრებს დაკარგა ვერცხლის ქამარი. მარა ძებნის დიდი ხანი არ მოსდომებია. ქურდი იპოვეს და თვით გაასამართლეს: 1 თვის განმავლობაში ხმა არავინ გასცეს და თუ ვისმეორეთ შეუშნეულ იქმნა ქურდობაში—სამუდამოთ გაძევონ სოზოგადოებიდან. დამნაშავე სწუხს, ნანობს, პატიებას

თხოულობს, მარა ბიუროკრატ მსჯელებივით ქრთამს არ იღებს ხალხისგან ამორჩეული მსჯელნი და თხოვნა-მუდარაც მეტია. ამ რიგათ თუ დღემდი ხოლიცია სხვა და სხვა სახიერებით სავსე იყო, დღეს, ხალხისგან ამორჩეულ მსჯელებს ტოტა სახიერება მოსდის და რაც აქვს გასარჩევი—მალე, დაუთხენებლივ არჩევს, არც მომჩივან-მოპასუხეს ფული არ ეხარჯება, თხოვნებს არავის აწერიებს და... ხელიტიის მოხელეებსაც დაუდგათ დასვენების დრო, თვიზიკური მხრით ასეთი დასვენება მოხელეთათვის ხელსაყრელია, ხოლო მატერიალურათ-კი ვერ არის სანუგეშო, რადგან ქრთამს ვერავისგან მოელიან... თუ მთავრობის მოხელეების შემწეობით მრავალნაირათ იტანჯებოდა მშრომელი, მუშა ხალხი, დღე დღეს მათ იტანჯონ მათგანვე დატანჯულთაგან! ამას სამართლიანობა მოითხოვს და აბა რომელი ხოლიციელი, მთავრობის მოხელე შესცდის, წინ ადუდგება ცხოვრების მიმდინარეობას, ისტორიის მსვლელობას! ამ რიგათ სრიაშიშელებმაც ხმა გასცეს მებრძოლ მოძმეების უმრავლესობას... მომავალი კრება სხვა საკითხებს გადაწყვეტს. ამაზე შემდეგ.

დეოლია.

ვანის საზოგადოება (ქუთ. მაზრა). ამას წინეთ სოფ. ვანში შეკრებენ ვანის საზოგადოების მცოვრებლები განურჩევლათ წოდებისა და სქესისა თანამედროვე ცხოვრების „მწვავე კითხვების“ ასახსნელ-გამოსარკვევათ. კრებას დაესწრო 3000-მდი ქალი და კაცი, უველა გახარებული, უველა გატოცხლებული ესალმებოდა ერთმანეთს ამ არა ჩვეულებრივ კრებაზე, რადგან ეს კრება იყო სახალხო კრება, ხალხის სურვილით შემდგარი და არა დახვსებული ბიუროკრატიის რომელიმე წარმომადგენლის ბრძანებით; და რა გასაკვირველია, რომ ხალხი ადტაცებით მიგებებოდა ამნაირ კრებას... დიახ, ქალურმა მშრომელმა ხალხმაც აიმაღლა ხმა. გამოერკვა სიღრმის ძილისგან, ადგა მკვდრეთით, გაახილა თვალები და დაინახა თავისი მტერი და მოუკრა და როგორც გარშემო მისმა დაჩაგრულმა ამხანაგებმა, ამათაც უცრუველ გოგელიც დახვსებული ძველი წესწყობილება და მოითხოვეს ახალი წესწყობილება ისეთი, როგორსაც დღეს მთელი რუსეთის იმპერიის მშრომელი ხალხი თხოულობს. ქალურმა გლეხობამ სიღრმი მისცა თავისუფლებისთვის მებრძოლ ამხანაგებს კვეკასიელებს და რუსებს. ვეკატურათ დასწყევლეს უსამართლობას და ბირდებიან ამხანაგებს გულწრფელათ, რომ სისხლის წვეთამდის არ უღალატებენ ამ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ხალხის მოძრაობა, როგორც სხვაგან ისე ქალ ეკონომიურ ნიადაგზეა აღმოცენებული, მარა ამასთანავე ნუ დავიწყებთ, რომ მას დრმა პოლიტიკური ხასიათიც აქვს, რადგან ხალხი გურიის ცხოვრების მაკვალიებმა და თავის თავზე მწარე გამოცდილებამ დრმათ დაარწმუნა, რომ სანამ არსებული დამპალი „ბიუროკრატიზმი“ არსებობს, მანამდის მისი ადამიანური ცხოვრება შეუძლებელია. და ამიტომ მიუხედავათ ხნოვანობისა, უველას ზიზღს გვრის ბიუროკრატიის უოველივე მოქმედება და სულით და გულით მხარდამჭერია არიან როგორმე ადრე და მალე ჩასვენონ სამარეში არსებული წესწყობილება. ამასთანავე წარმოსთქვა ხალხმა გულში დიდის ხნის დაგუბებული უსამართლობა და მწუხარება: როგორ აძრობდა ტუვეს მათ სოფლის მუმაშულე და მისი მოურავი, როგორ ატუვებდენ სოფლის ჩარჩები, როგორ ატუეულებდენ სააქოს წარმომადგენლობა, მარა სააქოს ფუფუნება-განცხრომის მოტრფიალე „სულიერი მამები“ თვისი ენა ტკბილობით და ახდეინებდენ დრამას და სხვა ათასნაირ გადასახადებს თავის სასარგებლოთ. როგორ ფექვნიდა მის მიერ ამორჩეული, მარა ბიუროკრატიის მონა-მორჩილი მამასახლისი სულ მცირე საქმისთვის და სხვ... შემდეგ მოიდავარაკეს რა თვეთან გაწერებულ მდგომარეობაზე, ერთხმათ გადაწყვიტეს მოითხოვონ ის, რასაც მთელი რუსეთის იმპერიის შეგნებული პროლეტარიატი და მისი იდეოლოგები თხოულობენ უნაკლულოთ. დიახ, ქალურმა ხალხმა ძმურათ გაუწოდა ხელი რუსეთის იმპერიის დაჩაგრულ ამხანაგებს მიუხედავათ სარწმუნოებისა, ერთვნებისა და რა ენა ლაპარაკობდათ, როგორც ის ჩვენს „ნაციონალ-დემოკრატებს“ და რადიკალ-სოციალისტებს ესაამოვნებოდათ. ასეთნაირს წეთელი დროშა შესთვერის ზედ წარწერით და თანაც დემონსტრაციულათ გადარეკ რამდენიმე მანძილი მარსელიეზას ხმიერით.

ს. გ—ლი.

რუსეთის ქრონიკა

გაზ. „ვეჩ. პოჩტა“ ერთ-ერთ სტატიაში არკვევს იმას, თუ დოგორ უყურებენ მარქსისტები აგრარულ კითხვას.

ძალიან ხშირათ გვესმის სრულიად უსაფუძვლო აზრი, ვითომც მუშათა პარტიის თეორეტიკოსები—მარქსისტები ცდილობდენ გლეხ-კაცობის გადასკვებას, ულუკმა-პუროთ დატოვებას სოფელში, რომ მშიერი გლეხი ქალაქისკენ გაიქცეს და იქ ეძებოს სამუშაო, შეემატოს ქალაქის მუშებს და ამით გაძლიეროს თვით მუშათა პარტია. ამისდა მიხედვით მარქსისტები ვითომდაც ცს ეწეოდენ სიხარულით, როცა გლეხების გადასკვებას ხედავენ. ამ ნაირი დასკიათება მარქსისტებისა აგრარულ კითხვაში, რა თქმა უნდა, ბევრ გულუბრყვილო დამკვრე ადამიანს ამხელრებს მუშათა პარტიის წინააღმდეგ და გარეშემო წამ და უწუმ გესმის ხან ოხვრა-კვნესა, ხან წუწვეს-კრეწვა, ხან ჭორები და საუკედურები. სიბედნიეროთ ეს ჭორები და საუკედურები ოველ გვარ საფუძველს მოკლებული არიან და მხოლოთ ავტორების ჭკუის სისუსტეს ამტკიცებენ.

მარქსისტები, როგორც კოოპერატორისტები, ე. ი. თან და თანობითი განვითარების მომხრეები, წინააღმდეგი არიან უველაფერი ნაძალადევისა და სწამთ მხოლოთ ბუნებრივი განვითარებ ეკონომიური ცხოვრებისა. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება-კი და განსაკუთრებით ჩვენი გლეხების ცხოვრება, იმ ნაირ პირობებშია ჩაყენებული, რომ ბუნებრივათ განვითარებას ვერ შეიძლებს. ძველებული წესწყობილების პოლიტიკური პირობები, ფეოდალური, პატრონ-უმური დამოკიდებულების ნაშთები და კიდევ მრავალი დრო-გასული, ცხოვრების მიერ დატოვებული ჩვეულებები გზას უღობავენ და ხელოვნურათ აჩერებენ ჩვენი ცხოვრების წინ-სვლას. მაშასადამე მუშათა პარტიის თეორეტიკოსები უნდა ეცადნენ, რომ მოსპონ ეს მავნებელი, ძაძველებული პირობები, როგორც გლეხების უფლებრივ და წოდებრივ ყოფა-ცხოვრებაში, აგრეთვე ადგილ-მამულის განაწილების საქმეში. გარდა ამისა მუშათა პარტიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გათავდება აგრარული რეფორმების საქმე და მარქსისტები არასოდეს არ ეწინააღმდეგებიან გლეხებისთვის მიწის დარიგებას. მაშასადამე სულ ტეუილ ხმებს ავრცელებენ ის „ნაროდნიკებიც“, რომელნიც ამბობენ, ვითომც მარქსისტები გლეხ-კაცობის ძალათ, ხელოვნურათ გადასკვებას ცდილობდენ. მარქსისტებმა კარგათ იციან, რომ მათი საბოლოო საზოგადოებრივი იდეალი განხორციელდება კაპიტალიზმის სრული განვითარების შემდეგ, რადგანაც თვით კაპიტალიზმი ბადებს ძირითად განხეთქილებას წარმოების ფორმის საზოგადოებრივობასა და ნაწარმოების კერძო-კაცის მიერ მითვისების შორის. კაპიტალიზმის განვითარებისათვის აუცილებელი სჭირო ბაზარი. გარეშე ბაზარი რუსეთისთვის—მხოლოთ ოტნებას წარმოადგენს, რადგან, სად შეუძლია რუსეთში დამზადებულ საქონელს ქიშპობაში გაუმარჯდეს დასავლეთ ევროპისას, ხოლო, რაც შეეხება შორეულ აღმოსავლეთს, აქაური ბაზარის მოპოებაზე იპირობა ჯერჯერობით სისტეკ უარს ეუბნება რუსეთს და არც მომავალი გვიქადის რაიმე სანუგეშოს. დაგვრჩენია მხოლოთ-და შინაური ბაზარი, რომელიც მართლაც და იმდენათ ფართოა, რომ მისი გაძლიერა ოველად შეუძლებელია ჯერჯერობით მაინც; ამისათვის რუსეთს სრულიად არ ესაჭიროება გარეშე ბაზარი, როცა თვის შინ შეუძლია საქონლის გასაღება. მერე

რაგორ მდგომარეობაშია დღეს ეს ბაზარი? გლეხობა, რომელიც დღეს უმთავრეს გამსაღებელათ უნდა ჩათვალოს შინაურ საქონლისა, მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. ხოლო იმისათვის, რომ შინაური ბაზარი გაღონიერდეს საჭიროა გლეხობის გაღონიერება ეკონომიურათ. აქედან ნათლათ ჩანს, თუ რაგორ უნდა უფუროს მარქსისტებმა აგრარულ საკითხს.

გარდა ამისა გლეხების გადატკეპნას მოჰყობა გლეხ-კაცების ქალაქში გასვლა სამუშაოთ. როგორც მცირე მოთხოვნილების ხალხი, იგინი დათანხმებიან შედარებით ნაკლებ სახფასურზე, ამით დასწევენ სამუშაო ქირას, რაც მეტათ მავნებელია მუშათა პარტიისათვის.

და ნუ თუ ასეთ მოსაზრებათა შემდეგ მაინც საჭიროა მარქსისტებისათვის გლეხების გადატკეპნა? რასაკვირველია, არა. ბერიქათ იგინი სულით და გულით მოსწრე არიან გლეხების მატერიალურათ გადარჩენისა და ამისათვის მოითხოვენ მათთვის ეკრეთ წოდებულ „ჩამონაწერებს“. ხოლო, რაგორ უნდა მოხდეს მიწის განაწილება—ეს თვით გლეხებმა უკეთ იციან და თვითონ მოაწესრიგებენ თავიანთ საქმეს.

ასეთ აზრისა არიან მუშათა პარტიის თეორეტიკოსები აგრარული კითხვის შესახებ. ეს აზრი ამდენათ ნათელი და მარტივია, რომ მისი ორ-ნაირათ ახსნა—შეუძლებელია.

—

მესამე საარმიო კორპუსისადმი ბრძანებაში დაბეჭდილია: „მე-30 საარტილერიო პარკის შტაბს-კაპიტანმა ბოხანმა რომელიც გაწესებულია მე-27 საარტილერიო ბრიგადაში, ნება მისცა თავის თავს წარმოეთქვა საჯარო სიტყვა, რომელშიაც შეეხო პოლიტიკას, რისთვისაც შტაბს-კაპიტან ბოხანს ვატუსალებ ოცდაათი დღის ვადით ვილნოს საქალაქო გაუპტფახტაზე. (ჰ.).

—

ტ. ს. ტატიშჩევს დაევალა რუსეთის ოპოზიციური მოძრაობის ზრდის და მდგომარეობის შესახებ მოხსენების შედგენა. მოხსენება 4 თვის ვადაში უნდა დაასრულოს.

—

კურლიანდიის გუბერნატორმა ბრძანება მისცა მაზრის უფროსებს და პოლიცმეისტერს, რომელთაც უნდა განკარგულება მოახდინონ, რათა პოლიციის მოხელეებმა უფრო ბეჯითათ და გულ-მოდგინეთ გაჩხრიკონ ხოლმე მცხოვრებთა ბინები. პოლიციის მოხელეებს მიენიჭა განუსაზღვრელი უფლება შევიდენ როცა სურთ მცხოვრებთა სახლში და მოახდინონ სასტიკი გაჩხრეკა აკრძალულ ნივთების.

—

კიევში პოლიციამ აღმოაჩინა მთელი ლაბორატორია, სადაც ასაფეთქებელ ნივთიერებებს ამზადებდენ.

—

კიშინიოვში 3 მაისს შეტაკება მოხდა ხალხსა და ხულიგანთა შორის, გაჩნდა რევოლვერების სროლა, დანების და კეტების ტრიალი. ხალხში მძიმეთ დაიჭრა 2 კაცი. ყველა ხულიგანები რაღაც „სასწაულით“ გაიპარენ, ხალხისგან კი ბევრი დაიჭირეს.

—

შჩუჩინოში ვილაც 4 ბოროტ მოქმედმა განიზრახეს დონის კაზაკთა მე-4 პოლკის თოფის წამლის საწყობის აფეთქება, მაგრამ დროზე შეუტყვეს და დასაპერათ დაედევნენ. ბოროტ-მოქმედებმა გაქცევა მოახერხეს, (ჰ.)

—

მიტავაში 2 მაისს სასიკვდილოთ დასჭრეს პოლიციის ჯაშუში.

—

სმორგონში (ვილნ. გუბ.) 16 აპრ. ტყვიის ჭარხლის მუშებმა სიმღერით და „ურას“ ძახილით ჩაიარეს ქუჩებში. რამოდენიმე წუთელი დროშაც ააფრიალეს. პრინციპია და კაზაკები არ ჩარევია.

—

სოფ. ხარკოვში (მოგილ. მაზრა) აგრარული მღელვარება დაიწყო. გაგზავნილია ერთი როტა ჯარის კაცები.

—

უმართებლესი სენატანის სამოქალაქო კასაციის დეპარტამენტში ნაფიც ვექილს ზარუდინს ბაქოში მომხდარ ჟლეტის დროს მოკლულ ლალაევთა მცირე წლოვანი შვილების ოპეკუნის მინდობილობით საჩივარი შეუტანია ბაქოს ყოფილ გუბერნატორზე; ზარუდინი უჩივის თავ. ნაკაშიძეს 50 ათას მანეთის ზარალს, რომელიც გამოიწვია ლალაევთა მოკვლამ და მათი სახლების გადაწვამ.

გაზ. „ს. ო.“-ს № 72-ში დაწვრილებით მოყვანილია ის გარემოებები, რომელთა მიხედვით აღუძრავს ლალაევთა ოპეკუნის რწმუნებულ ვექილს თავისი საჩივარი:

მომჩივანი ამტკიცებს თავის თხოვნაში, რომ ლალაევთა სიკვდილში და მათი სარჩო-საბადებელის დაწვა-დარბევაში სრული პასუხის გება ყოფილ გუბერნატორს თავ. ნაკაშიძეს ედება. მოგვყავს სიტყვა სიტყვით უმთავრესი ბრალდება მომჩივანისა წინააღმდეგ განსვენებული თავ. ნაკაშიძისა.

„... ლალაევის სახლს 7 თებერვლიდან დაუწყეს ყოველის მხრით თოფის სროლა. სახლის პატრონმა, დაინახა რა თავისი საშინელი მდგომარეობა, 7 მარტსვე რამდენიმეჯერ სთხოვა შემწეობა ტელეფონის საშვალებით ადგილობრივ მთავრობას. სამშაბათს, 8 მარტს უფრო მძლავრათ დაუშინეს თოფები და ალყაც გაუძლიერეს სალხს. მაშინ თავ. ნაკაშიძე ეტლით მივიდა ლალაევის სახლთინ, ელაპარაკა რამდენიმე ხანს შემახის ქუჩაზე ჩასაფრებულ დამრბევთა ბრბოს, შემდეგ გამოიხმო ქუჩაზე ლალაევი და საყვედურებით მიმართა მას იმისათვის, რომ, ვითომც უკანასკნელის სახლიდან გამვლელ თათრებს თოფებს ესროდენ. ლალაევმა უპასუხა, რომ ის ცნობა თითქოს მისი სახლიდან თოფს ისროდენ—აშკარა ტყუილი იყო, რის დასამტკიცებლათ სთხოვა გაეჩხრიკა მთელი სახლი და დარწმუნებულიყო, რომ იქ ერთი იარაღიც არ მოიპოვებოდა. გარდა ამისა ლალაევმა სთხოვა თავ. ნაკაშიძეს ან დარაჯები დაეყენებია სახლის დასაფარავათ, ან და მიეცა საშუალება, რომ ის ოჯახობით გასულიყო სახლიდან. გუბერნატორმა ორივე თხოვნაზე უარი უთხრა და წავიდა. ამის შემდეგ ალყა კიდევ უფრო გააძლიერეს და უფრო სასტიკათ დაუშინეს თოფები ლალაევის სახლს. რომ რამე ნაირათ სახლიდან გამოეყვანათ ლალაევის ოჯახობა, ბრბომ გადაჭრა საწყლე მილი და ყველა კარებთან დარაჯები დააყენა. ლალაევი განუწყვეტლივ ურაწკუნებდა ტელეფონის ზარს და ეხვეწებოდა თავის ნაცნობებს: სარჩიოვს, დოლუხალოვს ეპისკოპ. ანანიას და სხვ. რამე ნაირათ ეშველებინათ გუბერნატორის წინაშე შემწეობის შესახებ. უკანასკნელმა ყველა თხოვნაზე უპასუხა, რომ მას ქალაქში არ ყავდა საკმაო ჯარი, რომ რამე შემწეობა აღმოეჩინა (ქალაქში 2000 ჯარი იდგა) და ბოლოს დაპირდა სარჩიოვს, 9 მარტისათვის მივეშველები ლალაევსო. ვინაიდან სახლში ტყვიას ვეღარავინ დაემალებოდა, მთელი ოჯახობა ლალაევისა სარდაფში ჩავიდა და იქ გაატარეს მთელი ღამე 8—9 მარტამდე.

დილით ბოროტ მომქმედებმა სახლის ხიან ნაწილებს ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. თუმცა ალი უცებ მოედო მთელ სახლს, ლალაევმა მაინც მოასწრო ტელეფონთან არბენა და აცნობა თავის მდგომარეობა ნათესავებს და

მთავრობას. დილის 8 საათზე ეს ამბავი თავ. ნაკაშიძესაც შეატყობინეს. მიუხედავათ ამისა შველა არსაით იყო. საათის 1-ზე ბოროტმომქმედები შევიდენ სახლში და დაიწყეს ცარცვა: რაც ნაკლებ ფასიანი ნივთები იყო იქვე ჭუჩაში გაჩაღებულ ცეცხლში ყრიდენ, ძვირფასეულობას კი იტაცებდენ. თოფის სროლა კი ერთ წუთსაც არ შეწყვეტილა. ყველა ეს ხდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში, პატრულების თვალ წინ. როცა ცეცხლმა სარდაფშიაც შეატანა, ლალაევი ოჯახობით ჭუჩაზე გამოვიდა, სადაც ბრბომ ტყვიით დაჩარჩა თითონ ლალაევი, იმისი ცოლი, ერთი ნათესავთაგანი და მოსამსახურეები. ეს მოხდა ორის ნახევარზე, ე. ი. ხუთი საათის შემდეგ მას აქეთ, რაც თავ. ნაკაშიძეს გადაჭრით აცნობეს, ასეთ ბოროტ მოქმედებისათვის ემზადებიანო...“ („ს. ო.“)

—

ნევის გემთა ამშენებელ ქარხნის მუშებმა განიხილეს წინადადება, რომლის მიხედვით მინისტრ კოკოვცევის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიის მიერ შემუშავებული კანონების შესახებ თავისი აზრი უნდა გამოეთქვათ და დაადგინეს შემდეგი:

„ჩვენ, ნევის გემთა ამშენებელ ქარხნის მუშებმა წინადადება მივიღეთ ჩვენი ცეხების წარმომადგენლებისაგან, რათა ჩვენი აზრი გამოგვეთქვა იმ კანონების შესახებ, რომელიც კოკოვცევის კომისიამ შეიმუშავა მუშათა მდგომარეობის „გასაუმჯობესებლათ“ და ვაცხადებთ: 1) რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება ჩვენი შეხედულება გამოვთქვათ იმ კანონებზე, რომელნიც მთელი რუსეთის მუშებს შეეხება, რადგან კომისიამ მარტო ჩვენი ქარხნის წარმომდგენლებს მიმართა ამ ნაირი წინადადებით, და არა მთელი რუსეთის მუშებს. 2) რომ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ კომისია ყველა მუშებს დაავალებდა აღნიშნული კანონების განხილვას, აქედან მაინც არაფერი გამოვიდოდა, ვინაიდან რუსეთში არ არის ბეჭდვის, სიტყვის, კრებების თავისუფლება და პიროვნების ხელუხლებობა, ხოლო ასეთ პირობებში მსჯელობა შესახებ მუშათა კანონებისა ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებდა. 3) ამისდა გვარათ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ უარს ვამბობთ კოკოვცევის კომისიის წინადადებაზე და ერთხელ კიდევ ვაღიარებთ ჩვენს სრულ თანხმობას იმ მოთხოვნებათან, რომელნიც წარუდგინეს ჩვენმა ამხანაგებმა შიდლოვსკის კომისიას“.

(„პრ. კრ.“).

—

ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას ეჭვის თვალით უყურებს გაზ. „ნაშა ჟიზნი“. მას არ სწამს, რომ ამ კომისიამ რაიმე გაუმჯობესება შეიტანოს გამწვავებელ მუშათა კითხვაში. ეს კომისიაო, ამბობს „ნ. ჟ.“ გამოიწვია დღევანდელმა მოძრაობამ და 4 თვის გაფიცვამ, რომელმაც ასე სასტიკათ წამოაყენა მუშათა კითხვაო. „ეჭვს გარეშეა, რომ ბევრი პროექტები, რომლებსაც წყნარ კანცელარიებში შეადგენენ, მალე დაკანონდებიან, მაგრამ საქმე ის არის, წასწევს თუ არა წინ ეს კანონები მუშათა კითხვის გადაწყვეტის საქმეს, გაუმჯობესდება თუ არა ამით მუშათა კლასის მდგომარეობა? ჩვენ გვგონია, რომ არა. კანონის დაწერა და გაცემა ძალიან ადვილი საქმეა, განსაკუთრებით ისეთ წესწყობილებაში, როგორიც ახლა რუსეთში მეფობს; ხოლო საქმე კანონის შეთხზვა კი არა, მისი ცხოვრებაში გატარებაა“.—„სანამ მუშები და მათთან ერთათ ყველა რუსი მოქალაქე არ მიიღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს საქმეების გადაწყვეტაში, სანამ რუსეთში არ დაარსდება პოლიტიკური მუშათა პარტია და მას პოლიტიკურ ბრძოლის უფლება არ ექნება, მანამ ვერავითარი ბიუროკრატიული კანონი ვერ გააუმჯობესებს მუშათა მდგომარეობასო“, დასძენს გაზეთი.

—

მოსკოვში დასრულდა ბეითალთა კერძო კრება, რომელსაც დაესწრო 100 კაცზე მეტი. კრებამ სხვათა შორის გამოთქვა თავის რეზოლიუციაში, რომ საჭიროა დაუყონებლივ მოიწვიონ დამფუძნებელი კრება.

—

გაზეთ „ნოვ.“-ს რედაქტორი ნოტოვიჩი, პასუხის გებაში მისცეს „განთავისუფლების კავშირის“ პროგრამის დაბეჭდვისათვის.

—

ნაფიცი ვექილი მანდელშტამი, რომელიც დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მკვლელს იცავდა, სამართალში მისცეს, რადგანაც მას ნაფიც ვექილთა თანაშემწეების კრებაზე ვრცელი მოხსენება წაეკითხავს დახურულ დარბაზში გარჩეული საქმის შესახებ.

—

ნოვოჩერკასკში რამდენიმე პირთა ჯგუფს განუზრახავს პროტესტანული სარწმუნოების მიღება.

—

„რ. ვ.“-ს ატყობინებენ ხარკოვიდან: რეალური სასწავლებლის დირექტორმა შიხოვმა 4 მოწაფე დაითხოვა. ეს საქმე ძალიან ცუდათ დაბოლოვდა. რეალისტებმა და სხვა სასწავლებლების მოწაფეებმა კრება მოახდინეს და გაფიცვას აპირებენ. ხარკოვის სიახლოვეს კაზაკებმა შეიპყრეს რამოდენიმე მოწაფე, რომელნიც მოსალაპარაკებლათ შეკრებილიყვენ.

—

მინსკის სასულიერო სემინარიიდან არეულობის გამო 83 მოწაფე დაუთხოვიათ.

—

პინსკში ორ მაისის დემონსტრაციის დროს მძიმეთ დასჭრეს პოლიციმეისტერი ზახარიევი.

—

ცარიცინში სასამართლო პალატამ განიხილა საქმე მუშების პრონინისა და იაკოვლევისა, რომელთაც მთავრობის საწინააღმდეგო თხზულებების გავრცელება ბრალდებოდათ. პრონინს 4 თვის ციხე მიუსაჯეს. იაკოვლევი გაამართლეს.

უცხოეთი.

საფრანგეთი. დღევანდელ რუსეთის ცხოვრება შინაც იმდენათ საინტერესოა, ისე იტაცებს ყველა შეგნებულ ელემენტებს, რომ საზღვარგარეთის ამბები თითქმის მივიწყებულია ყველასაგან. ანკი რა საკვირველია. შინ თუ ბავშვები შიმშილით იხოცებიან, გარეთ ტაბლას რა უნდაო, ნათქვამია. მაგრამ არის ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რომელიც მიუხედავათ იმისა რომ საზღვარგარეთის ცხოვრებიდანაა, საინტერესოა და ყურადღების ღირსი შინაურ პირობათა გამო, რადგან იმავე კატეგორიისაა, როგორიც სავალალო გამხდარა შინ. აი ასეთათ მიგვაჩნია ჩვენ საფრანგეთის სოციალისტური პარტიების შეერთება, რომელიც პირდაპირი შედეგია ამსტერდამის კონგრესის ერთი მხრით და შეგნებულ პროლეტარიტის გავლენისა მეორე მხრით. როგორც იცით, ამსტერდამის საერთაშორისო კონგრესმა გაიმეორა და მიიღო სახელმძღვანელოთ გერმანიის პარტიის მიერ დრეზდენის კონგრესზე მიღებული რეზოლიუცია ეგრეთ წოდებულ რევიზიონისტების შესახებ. ამ რეზოლიუციით როგორც გერმანიის პარტია, ისე საერთაშორისო კონგრესი უარყოფს რევიზიონისტების შეხედულება-

მოქმედებას. ამ რევიზიონისტების მაგვარ ფიქრის საფრანგეთის პარტიაში წარმოადგენდა ჟორესის ჯგუფი, რომელიც მთელ თავისი არსებით აღუდგა წინ ამსტერდამის რეზოლიუციას. მაგრამ კრებამ მაინც დიდი უმრავლესობით მიიღო ხსენებული რეზოლიუცია და მით უარყო ის პოლიტიკა, რომელსაც ადგა ჟორესი ამ 5—6 წლის განმავლობაში.

ეს პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ სოციალისტური პარტია პარლამენტში დაუკავშირდა მოწინავე ბურჟუაზიულ პარტიებს პირველათ რესპუბლიკის დასაცველათ და შემდეგ კი უფრო და უფრო გააფართოვა ეს კავშირი; შედგა მუდმივი ბლოკი ანუ დელეგაცია მემარცხნეთა, რომელიც ყოველ ახალ კანონ პროექტზე და საზოგადოთ საგულისხმიერო კითხვაზე იღებდა რაიმე საერთო რეზოლიუციას და ასე ძრომზადებული მიდიოდა პარლამენტში. ეს მოვლენა საზიანო იყო საზოგადოთ მცხოვრებთა ინტერესებისათვის, ხოლო კიდევ მეტი თვით პარტიისათვის, რამდენათაც ის სოციალისტური ე. ი. მშრომელი კლასის ინტერესების დამცველი იყო. საზიანო იყო რადგან მან შეასუსტა ბრძოლა პარტიისა ბურჟუაზიულ პარტიების წინააღმდეგ, ბლოკის დისციპლინამ მიავიწყა პარტიის საპარლამენტო ჯგუფს სოციალური რეფორმები და მით თითქმის დაკარგა საკუთარი ფიზიონომია. პარტიის ჯგუფი გაიტაცა საპარლამენტო ინტერესებმა და მით გადაახვევია პირდაპირი გზიდან პროგრამის განხორციელებაში. ასეთი იყო ჟორესის მიერ მოწონებულ «კლასთა თანამშრომლობის» პოლიტიკის შედეგი. სულ სხვა გზას ადგენ გედისტები ანუ მარქსისტები. ესენი კარგათ გრძნობდნენ, რომ სოციალისტურ პარტიას, როგორც მუშათა კლასის ინტერესების დამცველს, არ შეუძლია ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობა და შეთანხმება; ასეთი პოლიტიკა მხოლოთ გარყვნის პარტიას და დააშორებს იმ კლასს, რომლის ინტერესებსაც უნდა იცავდეს. კიდევ უფრო არ მოსწონდა გედისტებს ის გარემოება, რომ ჟორესიისტებს თითქმის სამინისტრო პორტფელისკენ ეჭირათ მუდამ თვალი. («სოციალისტი» მილიერანი ხომ კარგა ხანს იყო მინისტრათ და დიდი პატივის ცემითაც ხვდებოდა საფრანგეთის ძვირფას სტუმრებს—მუშა ხალხის სისხლის მსმელებს. ესეც არ იკმარა და მისმა სამინისტრომ ჯარი მიუსია მუშებს!) ყველა ამან დიდი უთანხმოება გამოიწვია სოციალისტურ პარტიაში, რომელიც ორ ბანაკათ დაიყო: ერთი ადგა რევოლიუციონურ გზას, მეორე კი რეფორმებით ლამობდა სოციალიზმის განხორციელებას. შეგნებულ მუშათა სიმპატია პირველისკენ გადავიდა და მეორეს თანდათან ეცლებოდა ნიადაგი. აი ამ დროს მოუსწრო ამსტერდამის კონგრესმა, რომელსაც მოყვა პარტიის შეერთება, ხოლო მცირე ჯგუფი პარტიიდან გამოვიდა. როგორც ზევით ვთქვით, ამ შეერთების საქმეში მთავარი და გადაწყვეტილი როლი თვით მუშებმა შეასრულეს. მათ არაფრათ მოსწონდათ პარტიის ორ ბანაკათ დაყოფა. ამიტომ ორივე პარტიის მეთაურები იძულებულ შეიქნენ შეერთებაზე ჩამოეგდოთ მოლაპარაკება და მით თავი მაინც გაემართლებიათ პარტიის წინაშე. დაიწყეს კიდეც მოლაპარაკება, თუმცა არც ერთს არ ქონდა იმედი რომ შეთანხმება მოხდებოდა, მაგრამ პარტიამ (მუშებმა) ამ მოლაპარაკებას უფრო სერიოზული მნიშვნელობა მისცა ვიდრე მეთაურებს უნდოდათ. ამსტერდამის პროგრამა იმდენათ მოეწონათ მუშებს, რომ თითქმის ყველა მათ შესაძლებლათ დაინახეს ამ ნიადაგზე პარტიის შეერთება. მუშათა მრავალ რიცხოვან კრებებს გამოქონდათ რეზოლიუცია, რომლითაც შეერთებას თხოულობდენ. ამბობდენ: შესაძლებელია არსებულ უთანხმოებათა ერთ ორგანიზაციის რამკებში დატევა. რასაკვირველია, პარტიისათვის სავალდებულო იქნება დრეზდენის რეზოლიუციით ხელმძღვანელობა, მაგრამ ყოველ წევრს ნება ექნება იდეიურათ დაიცვას თავისი შეხედულობაო და სხვა და სხვა. ამ რიგათ მისი მოთხოვნა შეერთების შესახებ ძალიან კატეგორიული გამოდგა, რომ მეთაურებმა ჯან დაზოგვა ვერ მოახერხეს და იძულებული შეიქნენ დამორჩილებოდენ ამ მოთხოვნას.

შეერთების საქმეს ხელი შეუწყო კიდევ იმ გარემოებამ, როგორც ზევით ვთქვით, რომ ჟორესის პოლიტიკა უნაყოფო გამოდგა, და ამიტომ თუმცა შეერთების დეკლარაცია სრული უარყოფაა ჟორესის პოლიტიკისა, მაგრამ მაინც ყველა ფრაქციებზე უფრო დამთმობი მისი ფრაქცია გამოდგა. სხვათა შორის ის მოსაზრებაც ქონდა უკანასკნელს, რომ ის საკმაოთ ძლიერათ გრძნობდა თავს და იქედი ქონდა შეერთებულ პარტიაში შესაფერი გავლენის მოპოვება შეძლებოდა. მეორე ხელის შემწყობი პირობა იყო მომავალი (1906 წ.) საზოგადო არჩევნები, რომელზედაც დაქსაქსულ პარტიას, თუ სრული დამარცხება არა, დასუსტება მაინც მოელოდა. მესამეც ის იყო, რომ ასე დაქსაქსულმა პარტიამ ვერ მოიპოვა საკმაო ნდობა მუშათა კლასისა, უკანასკნელი უფრო პროფესსიონალურ კავშირებს მიაწვა და იმათ გარშემო იკრიბებოდა და ამის გამო მოსალოდნელი იყო, რომ მუშათა პროფესსიონალური მოძრაობა ჩამოცილდებოდა სოციალისტურ პარტიას.

ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ ისეთ პარტიას, როგორიც არის სოციალისტური, რომელიც დამყარებულია მხოლოთ მასაზე, რომლის ძალაც და ღონეც იმით განიზომება, თუ რამდენათ აკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნას და როგორ ემსახურება მისი მდგომარეობის გაუმჯობესობას, არ შეუძლია მეთაურების სურვილს აყვეს. აქ უმაღლესი მსაჯული და გადამწყვეტელი იგივე მასაა, რომლის ინტერესებსაც პარტია იცავს და პროგრამაშიაც და ტაქტიკაშიაც უკანასკნელი სიტყვა მას ეკუთვნის. ვინც ამის წინააღმდეგ წავა ის უნდა ჩამოცილდეს პარტიას და თავისი ადგილი სხვებს, მუშა კლასის გარეთ უნდა ეძიოს.

ასეთ პირობების ზედგავლენის ქვეშ მყოფმა შემაერთებელმა კრებამ მიიღო შემდეგი დეკლარაცია;

სხვა-და-სხვა სოციალისტურ ჯგუფების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იმათი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ შეუდგებიან სოციალისტთა ჯგუფების შეერთებას, საერთო ხმით დადგენილ და მიღებულ მოსაზრებით:

1) სოციალისტთა პარტია არის კლასობრივი პარტია, რომლის მიზანს შეადგენს საწარმოო ძალთა საზოგადოებრივ საკუთრებათ გარდაქმნა, ხოლო საშვალებას პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომური ორგანიზაცია.

2) პარტიის დეპუტატები პარლამენტში შეადგენენ ერთს მჭიდრო ჯგუფს, რომელიც მოწინააღმდეგეა ყველა ბურჟუაზიული ფრაქციებისა. ეს ჯგუფი უნდა ებრძოდეს მთავრობის ყველა იმ საშვალებას, რომლის მეოხებითაც ბურჟუაზია ცთილობს ბატონობა შეინარჩუნოს, შეინარჩუნოს ქვეყნის მართვა-გამგეობა. ამგვარათ: უნდა იყოს წინააღმდეგი სამხედრო საჭიროებისათვის ხარჯის გაღების, ხარჯის გაწევისა კოლონიების შესაძენათ, საიდუმლო ფონდისა და საერთოთ მთელი ბიუჯეტისა.

„ თითქმის განსაკუთრებულ შემთხვევებშიაც დეპუტატებს არა აქვთ უფლება აღნიშნული გზიდან გადახვევისა პარტიის ნება დაურთველათ.

„ პარლამენტის ჯგუფი ვალდებულია ზრუნავდეს განსაკუთრებით მუშათა კლასის პოლიტიკური უფლების გაფართოებას და ხელს უწყობეს ისეთი კანონების გამოცემას, რომელნიც აუმჯობესებენ პროლეტარიატის მდგომარეობისა და ბრძოლის პირობებს.

3—კერძოთ თითოეული დეპუტატი ექვემდებარება თავის ფედერაციას *).

„ყველა დეპუტატები ერთათ, პარტიის ცენტრალურ ორგანოს მხედველობის ქვეშ იმყოფებიან.

4—პრესსა თავისუფალია ყოველგვარ კითხვებზე მსჯელობის დროს, მაგრამ პრაქტიკულ მოქმედების დროს ყველა სოციალისტური გაზეთები უნდა დაემორჩილონ სიეზდის დადგენილებას, იმ სახით, როგორც ამას პარტიის ცენტრალური ორგანო ხსნის.

5—„ცენტრალურ დაწესებულებისათვის დეპუტატების არჩევა ინდივიდუალურათ არ შეიძლება; დეპუტატებს წარადგენს კოლლექტიური დელეგაცია, რომლის წევრთა რიცხვი ყველა დეპუტატების რიცხვის მეათედს უნდა უდრიდეს, და უნდა იყოს არა ნაკლებ ხუთისა.

„თუ რომ ცენტრალური დაწესებულება აირჩევს თავიანთ შორის აღმსრულებელ კომისიას, დეპუტატებს არ შეუძლიათ ამ კომისიაში მონაწილეობის მიღება.

„ფედერაციებს შეუძლიათ ცენტალური დაწესებულებისთვის მუდმივ დელეგატებათ არჩევა მხოლოთ ისეთ პირთა, რომელნიც ფედერაციის რაიონში ცხოვრობენ".

თავის გამართლებაც ასეთი უნდა!

(პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს *).

წინა წერილში ჩვენ გავეცანით იმას, თუ რა „უმანკო" წესი დაუდგენია თ-დ ჭავჭავაძეს გლეხებისაგან ღალის აღების საქმეში. მაგრამ ამ წესის დახასიათება სრული არ იქნებოდა, თუ რომ თ-დ ჭავჭავაძეს იქვე არ შეეტყობინებია ჩვენთვის საბალახეს საქმეც, რაშიაც ჩვენ თავადს არა ნაკლებ „უმანკო" წესი დაუდგენია. აი რას გვეუბნება იგი ამის შესახებ:

„საგურამოში, რომლის წრეში ხუთი სოფელია, გლეხ-კაცები სხვა-და-სხვა მემამულის ტყესა და მინდორს ხვდებიან საქონლის საძოვლათ, სხვათა შორის ჩემსა და ჩემის მეუღლის თავისუფალ მამულებსაც. დიდის ხნის დაწესებულია, რომ ვინც სხვის მამულს შეხვდება (რაც ძალიან ადვილია, ვინაიდგან გლეხ-კაცს გასაქანი იშვიათათ აქვს!) საბალახეთ, მამულის პატრონს უნდა აძლიოს თვეში ერთი შაური თითო სულს საქონელზე, ე. ი. წელიწადში სამი აბაზი, სოფ. წიწამურას გარდა, საცა თითო სულზე თითო მანეთს იხდიან წელიწადში, რადგანაც საძოვრათ უფრო კარგი მამულია და ქალაქზე უფრო ახლოა, მაშინ როდესაც მთიულები და სხვა შორიდან მორეკილ საქონლის პატრონები, სულ ცოტა რომ ვთქვა ექვს—შვიდ აბაზს და ზოგჯერ ორ მანეთსაც იძლევიან თითო სულზე საბალახეს, ისიც შემოდგომის და ზამთრის ხუთ-ექვს თვეში და არა მთელი წლის განმავლობაში."

როგორც ხედავთ, საბალახეს საქმეც ჩვენ მწერალ თ-დს შევნივრათ ჰქონია მოწყობილი! მართალია თ-დი ჭავჭავაძე აქ დაწვრილებით არ შედის საქმის განხილვაში; იგი არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ რა გზით, გლეხების ნება-ყოფლობით თუ მათზე ძალდატანებით გაიყვანა მან ეს წესი ცხოვრებაში. თ-დი ჭავჭავაძე ხმასაც არ იღებს იმაზე, გაუწიეს ამ ნიადაგზე მას გლეხებმა წინააღმდეგობა, და თუ გაუწიეს, რა ღონე იხმარა, რა სასჯელს მიმართა, რომ თავხედი გლეხი მიწასთან გაესწორებია და მთელი თავისი ულმობელობა გამოეჩინა. უამისოთ ხომ მთელი მის მიერ დადგენილი წესი სულ ერთიანათ დაინგრეოდა! მაგრამ თ-დ ჭავჭავაძეს ერთი ჩვენი სამხილებელი საბუთი აქვს ხელში, და ამაზე კი დიდი რიხით გაიძახის: მე თვეში ათ შაურს კი არ ვახდევინებ გლეხებს თითო სულ საქონელზე, არამედ მე თითეული [illegible] შაური მაქვს დადგენილი თითო სულ საქონელზე, კერძოთ წელიწადში სამი აბაზი, გარდა სოფ. წიწამურისა, სადაც თითო სულზე თითო მანეთს იხდიან წელიწადშიო. ხომ ხედავთ, რა გულმოწყალე და სათნოებიანი ყოფილა თავადი ილია! ადვილი სათქმელია წელიწადში თითო სულ საქონელზე სამი აბაზის და ერთა მანეთის გადახდა, მარტო იმისთვის, რომ გლეხ-კაცის საქონელი სხვადასხვა მემამულის ტყეს და მიწას ხვდება! მაგრამ საქმე მარტო ამით როდი თავდება. როგორც მოგახსენეთ, თ-დი ჭავჭავაძე დაწვრილებით როდი შეეხო ამ საკითხს, მაშინ როცა ეს საკითხი მეტათ რთულია და განსაკუთრებით გამეორებას თხოულობს. როგორც ცნობილია, გლეხების განთავისუფლების დროს უდიდესი უსამართლობა ამ საქმეში ჩაიდინეს მთავრობამ და სათავად-აზნაურო კომიტეტმა. გლეხებს სრულებით ჩამოაცალეს როგორც საძოვარი ადგილები, ისე საჩეხი ტყე, რომლებითაც ისინი ბატონ-ყმობის დროს სარგებლობდენ. ყოველივე ეს მებატონეებს მიასაკუთრეს: ფლობდეთ და სარგებლობდეთო! ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მებატონეებს გადასახადი უნდა დაედვათ, თუ ვინიცობაა გლეხის საქონელი მათ მიწაზე მოსძოვდა. უამისობა კი ყოველად შეუძლებელი იყო, ვინაიდგან გლეხებს საძოვარი მიწები ჩამოართვეს. ეს გარემოება ერთი იმ ოინთაგანი იყო, რომლის საშუალებით გლეხები ისევ ძველ მებატონეებს ჩაუგდეს ხელში გასაყვლეფათ. თუმც საგლეხო წესდება აქ ერთნაირ საზღვარს უდებდა მემამულეს, მაგ., მემამულეს უფლება ეძლეოდა საბალახე დაეწესებია მხოლოთ ისეთ ადგილებზე, რომლებიც განსაკუთრებით საბალახე ადგილებათ არიან ცნობილი, და არა უმეტეს 25 კაპ. თითო სულ საქონელზე და ისიც თუ გლეხს შვიდ სულზე მეტი საქონელი ეყოლებოდა, მაგრამ ცხოვრებაში მხოლოთ მემამულეს სრული თვითნებობა გამეფდა; აქ ყოველივე მემამულეს სურვილზე და ნებაზე დარჩა დამოკიდებული. მემამულე როგორც სურდა ისე ექცეოდა გლეხს. ყოველივე დამოკიდებული იყო მის პირად სურვილზე და მის მოთხოვნილებაზე, რაც, რასაკვირველია, ყოველთვის საკმარისათ ფართო იყო. აქ საძოვარსა და საყანე, ე. ი. სახნავ მიწებს შორის განსხვავება ალარ არსებობდა: თუ კი გლეხის საქონელი „მემამულის" მიწას მოხვდებოდა" (ასე გვეუბნება თ-დი ჭავჭავაძე), სულ ერთია, მემამულეს მიერ დადგენილი გადასახადი უნდა ეხადა. თუ ვინმეა ჩვენში ისეთი, რომელსაც სავსებით განეხორციელებიოს ცხოვრებაში ეს თვითნებობა, ერთი ამათგანი უეჭველათ თ-დი ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს. მისი თვითნებობა ჯერ იმაში გამოიხატება, რომ იგი ხუთი შაურის ადგილას სამ აბაზს და ერთ მანეთს ახდევინებს. შემდეგ, როგორც ჩვენი კორესპონდენტი გადმოგვცემს (იხ. „მოგზ." № 18), თ-დი ჭავჭავაძე საბალახეს ისეთ მიწაში ახდევინებს, რომელიც განსაკუთრებით საბალახოთ კი არ ითვლება, არამედ სახნავ მიწათ, ე. ი. „იმ მიწაში, რომლიდანაც მემამულეს მეოთხედი თავისი ზურგით შინ მიაქვს", მაგრამ ეს კიდევ არაფერი. „უფრო მეტი სავალალო ის არის, ამბობს თ-დ ჭავჭავაძის-მიერ ათვალწუნებული კორესპონდენტი,—რომ საგურამოელი მებატონეების მიწები ერთმანეთშია არეული დომხალივით და რამდენიმე დღიური რომ აქ ილია ჭავჭავაძის არის, რამდენიმე დღიური იმის გვერდზე გივი სტაროსელსკის ეკუთვნის, მერე ზალიკო გურამიშვილს, ტატო ციციშვილისა და ტუტუნა სტაროსელსკისა... ასე რომ ხსენებული საბალახე, ერთსა და იმავე დროს ყველა აქ მოხსენებულ მებატონეებს უნდა სათითაოთ აძლიოს. აქედან

*) როგორც ჟორესისტების ფრაქცია, ისე გედისტებისა და ბლანკისტებისა ცალკე ფედერაციებისაგან შესდგებიან, რომელნიც საშინაო საქმეს კერძოთ განაგებენ.

*) დასასრული იხ. „მოგზაური" № 18.

თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა უჯდება გლეხს მარტო საბალახეს გადახდა ერთ სულ საქონელზე წლის განმავლობაში, და ისიც არა მთელ წელს, არამედ რამდენიმე თვის განმავლობაში, რადგანაც საგურამოში ზაფხარი საკმარისათ სუსხიანი და ხანგრძლივია, და ამიტომ საქონელი უმეტეს ნაწილათ გომურში ჰყავთ შემწყვდეული ხმელ საჭმელზე. ეს არის ნამდვილი ცარცვა-გლეჯის სისტემა, რომლის მსხვერპლი გლეხია და სხვა არავინ. თ-დ ჰავჰავაძეს, რა თქმა უნდა, შეუძლია თავი იმით იმართლოს, რომ ეს «ჩემი და ჩემი მეუღლის თავისუფალი მამულია», და ვის რა უფლება აქვს ამაზე ხმა ამოიღოსო. ჩემ საკუთარ მამულს მე როგორც მსურს ისე მოვიხმარებ, ამის დაშლის უფლება არავის არ უნდა ჰქონდესო. ვთქვათ, რომ თ-დი ჰავჰავაძე ცამდე მართალია, მაგრამ ერთი ამაზე გვიპასუხოს: საგურამოელ გლეხებს რომ მეტი მიწა-ადგილი ჰქონდეთ, რაც დღეს აქვს, ე. ი. ისინი რომ ნაკლებათ საჭიროებდენ მის „თავისუფალ“ მამულში, იგი ასეთ პირობებში ხომ ვეღარ მისცემდა გლეხებს მიწებს? ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარგებლობს თუ არა იგი დღეს საგურამოელ გლეხების გაჭირვებული მდგომარეობით და უმატებს თუ არა ღალას იმის კვალობაზე, თუ რამდენათ მწვავდება გლეხების გაჭირვება? ჩვენ დავინახავთ, რომ თ-დ ილია ჰავჰავაძის მიერ დადგენილი წესი გლეხების ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაზეა დაყრნდობილი. რომ ამ წესს სამართლიანობა და კაცთ-მოყვარეობა არ უდევს საფუძვლათ, ეს თავისთავათ აშკარაა. მაშ ჩვენ რადას გვიკიჟინებს თავადი ჰავჰავაძე? «მოგზაურის» კორესპონდენტმაც ხომ მხოლოთ ეს ფაქტი აღნიშნა!

თუ ეს ასეა, მაშ რაღა საბუთი ჰქონდა თ-დ ილია ჰავჰავაძეს ასეთი უშვერი ლანძღვა-გინებით დაეჯილდოებია ჯერ კორესპონდენტი და მერე ის ორგანო, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა ჩვენი მწერალ-მემამულეს „საქმენი საგმირონი“? ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, რომ საქართველოს სასიქადულო მწერალს, ან საგურამოს ცნობილ გმირს, ლანძღვა-გინებაში, სხვისი პიროვნების გაბიაბრუებაში ბადალი არ ჰყავდა, მაგრამ რაც მას ამ მხრით წინეთ ჩაუდენია, ის მონაგონიც არ არის იმასთან, რასაც იგი ახლა ჩადის. წარმოიდგინეთ: თ-დი ჰავჰავაძე, როგორც კორესპონდენციის ავტორს, ისე «მოგზაურის» რედაქციას ბეზღობას წამობს, ჯაშუშობას გვაბრალებს, არც მეტი არც ნაკლები. მაგრამ რაში იხმარება ეს ჯაშუშობა? ორში ერთი: ან კორესპონდენციაში მოთხრობილი ამბები ტყუილია, განზრახ გამოგონილი, ან მართალი, მაგრამ იმათი გამოქვეყნება საჭირო არ იყო, რადგანაც ეს თ-დ ჰავჰავაძეს, საქართველოს დიდებულ მწერალს, ეხებოდა. რომ ყველა ის ამბები, და კიდევ მრავალი სხვა, მართალია, და არა განზრახ გამოგონილი, ეს დღეს, ვგონებ არავისთვის საეჭვო აღარ არის. მაშ დაგვრჩა გადასაწყვეტათ მხოლოთ ერთი საკითხი: საჭირო იყო თუ არა იმ ამბების გამოქვეყნება? თუ თ-დ ჰავჰავაძეს დავეკითხეთ, ის, რასაკვირველია, გადაჭრით გვეტყვის, რომ ეს საჭირო სრულებით არ იყოო. „ვთქვათ, რომ ყოველივე ეს შესაძლოა და კისრადაც მიდვია,—გვეუბნება იგი სხვათა შორის ძნის ისტორიის შესახებ,—მაგრამ ნუ თუ ეს ამბავი, თუნდაც გლეხის მიერ ნაამბობი, ისეთი რაჲ არის, რომ კაცმა კაცი გასაბიაბრუებლათ გაიმეტოს?“ რასაკვირველია, აქაც, როგორც სხვა რამეებშიაც ჩვენი და თ-დ ილია ჰავჰავაძის შეთანხმება ყოველათ შეუძლებელია და მართლაც განა შესაძლებელია, რომ ის, ვინც მთელი 25 წლის განმავლობაში პრესისა დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ სიმართლისათვის გზა აეკცია, ჰეშმარიტება დაეფარა, ჩვენ გვეთანხმებოდეს პრესისა დანიშნულებაში? განა შესაძლებელია, რომ ის, ვინც ხალხს „ნულები“ უწოდა, ისე უყურებდეს პრესასა, როგორც ჩვენ? მაგრამ საქმე ის არის, რომ თ-დ ჰავჰავაძეს თავის თავი საქართველოს „ბურჯათ“ მიაჩნია, და ამიტომაც მოჩვენებია, რომ მას ვერავინ შეეხებოდა. თ-დ ჰავჰავაძის ნაწერებში ხშირათ შეხვდებით მაღალ-ფარდოვან სიტყვებს ადამიანურ ღირსებაზე და კაცურ-კაცობაზე, მაგრამ მისი საქციელიდან გამოდის, რომ ყოველივე ეს მხოლოთ მისთანა თავადების მონოპოლია უნდა იყოს და სხვა არავისი. თუ ეს ასე არ არის, მაშ რისთვის ეჯავრება, რისთვის აწვება მას ბოლმა, როცა გლეხკაცს ესარჩლებიან გაუმაძღარ მემამულეების წინააღმდეგ? ან შესაძლებელია, მას, როგორც მემამულეს, როგორც მესაკუთრეს, გლეხ-კაცობისათვის შეევიწროება არ მიუყენებია? თ-დ ჰავჰავაძეს ამის უარყოფა ხომ ამიერიდან აღარ შეუძლია?

ახლა მკითხველს მივმართავთ: ნუ თუ ბეზღობა და ჯაშუშობაა ყოველივე ის, რაც ჩვენ ილია ჰავჰავაძის შესახებ გამოვაქვეყნეთ? ნუ თუ სანტიმენტალური მოთხრობების დაწერა საკმარისაა, რომ მის დამწერს ყოველივე სისაძაგლე ეპატიოს და ამის შესახებ პრესამ ხმა არ ამოიღოს? თუ დიდს ვერ მოვთხოვთ ზნეობას, პატარა როგორღა უნდა მოვთხოვოთ? ან შეიძლება უსამართლობის გამომჟღავნებას მხოლოთ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მას უბრალო მომაკვდავი ჩადის, და არა ილიასებური „დიდებუნებოვანი“ გვამი? ახლა გადავიდეთ ფაქტებზე.

როგორც ზევით ვამბობდით, თ-დი ჰავჰავაძე „მოგზაურის“ რედაქციას და მის კორესპონდენტს ცილის წამებას, ბეზღობას და ჯაშუშობას აბრალებს. ამიტომ საჭიროა ნათლათ დავანახვოთ მკითხველს, თუ ვინ ადგას სისტემატიურათ ბეზღობის, ცილისწამების და ჯაშუშობის გზას. „მოგზაურის“ კორესპონდენტი, სხვათა-შორის, თ-დ ჰავჰავაძეს იმას აბრალებდა, რომ მან (ე. ი. ჰავჰავაძემ) გლეხების მოძრაობის ჩასაქრობათ და თავის სახლ-კარის დასაცავათ მთავრობას ჯარი თხოვაო. თ-დი ჰავჰავაძე ამაზე უარს ამბობს: მე ჯარის გამოწვევა არავისთვის არ მითხოვნია და თუ ეს მართალია კორესპონდენტს შეუძლია მთავრობის რომელსამე კანცელარიაში შეამოწმოს, თუ იქ სადმე ჩემ თხოვნას იპოვნის ამის თაობაზეო. გულუბრყვილო მკითხველი ასეთ განცხადებას ნამდვილ სიმართლეთ მიიღებს და ჩვენ კორესპონდენტს გაამტყუნებს. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ, იგივე ჰავჰავაძე რამდენიმე სტრიქონის ქვევით მოგვითხრობს, რომ რადგანაც მის აუარებელ ქონებას და სახლ-კარს გლეხების მხრით აკლება და განადგურება მოელოდა, მან დეპეშით მაზრის უფროსს მიმართა, რომელსაც შველას და დახმარებას თხოვდა გლეხების წინააღმდეგ. თ-დ ჰავჰავაძის შიში უსაფუძვლო გამოდგა, რადგანაც გლეხებს ფიქრშიაც არ მოსვლიათ თ-დ ჰავჰავაძის სახლ-კარის აკლება, მაგარი ეს კი არ არის, არამედ ის რომ თ-დ ჰავჰავაძემ გლეხები დააბეზღა, ჯაშუშობა გასწია თავისი ნივთიერი ინტერესების გულისათვის. საკვირველი ის არის თუ რა ოინბაზობით მართლუღობს თავს ჩვენი თავადი: მე მაზრის უფროსისათვის ჯარის გამოგზავნა არ მითხოვნიაო. საქმე ის არის, რომ მან მაზრის უფროსს აცნობა, გლეხები აკლებას მიპირებენ და რამე მიშველეთო. მაზრის უფროსს შეეძლო სრულებით არავითარი დახმარება არ გაეწია თ-დ ჰავჰავაძისთვის, ამით მაინც არსებითათ მისი ბეზღობა არ ირღვევა. მაგრამ ნუ კი იფიქრებთ რომ ჩვენს სახელოვან მგოსანს, ბეზღობა და ჯარის მიწვევა სამარცხვინო ხელობათ მიაჩნდეს. „ამას იმიტომ კი არ ვამბობ, გვეუბნება ჩვენი თ-დი,—რომ ჯარის მოწვევა ძალმომრეობის და ერთმანეთზე მისევის დასაწყნარებლათ, რაკი

სხვა გზა არ არის, **სამარცხვინო რათმე მიმაჩნდეს, პირიქით**“... და თუ საზოგადოთ ერიდება ამ ღონის-ძიებას ჩვენი სახელოვანი მწერალი, ეს მხოლოთ იმ მოსაზრებით, რომ გლეხობისაგან მას დიდი შემოსავალი აქვს, გლეხობა მისთვის კარგი სათალი დუმაა. მაგრამ ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ჯაშუშობის ასპარეზზე მარტო ამით ხომ არ თავდება. სამწუხაროთ ჯაშუშობის როლი მას ზედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული. ან რასა სწერს მართლაც რომ მაბეზღარა თავადი: ,,არც მითხოვნია და არც მოვითხოვ (ჯარზეა ლაპარაკი), **თუ ჩვენის ავტორის** (კორესპონდენტის) და **„მოგზაურის“ წყალობით, ზედ მოსევა ჩემზე გლეხისა არ მოხერხდა და ან ერთმა და ან მეორემ საქმე ისე არ გამიხადეს, რომ მათ მიერ მოსეულს და ასისინებულ გლეხკაცობას მტრულად არ დაუხვდეო**“. ამაზე მეტი ბეზღობა, ჯაშუშობა და ცილისწამება შეუძლებელია! ჩვენ არა გვგონია, რომ ამაზე მეტი ბეზღობა ოდესმე ჩაედინოს ბეზღობაში და ჯაშუშობაში განთქმულ გრინგმუტს, მეშჩერსკის, კომაროვს და თუ გინდ პალმს! ჩვენ აქ მკითხველს აღარ შევაჩერებთ იმაზე, თუ ვისი დაბეზღებით დაატუსაღეს ამ ხუთი წლის წინეთ გაზ. ,,ივერიის“ ასოთ-ამწყობები. ამას ჩვენი მკითხველი უფრო დაწვრილებით შეიტყობდა „მოგზაურში“ დასტამბულ წერილიდან. (იხილე „მოგზაური“. № 18). და თუ ყველა ამის შემდეგ თ-დ ილია ჭავჭავაძეს კიდევ მოუცლია პრესისადმი პატივისცემაზე, ზნეობაზე, პიროვნების ხელუხლებლობაზე, ადამიანურ ღირსებაზე, საკუთრათ სამართალზე, კაცურ კაცობაზე და სხვა ამისთანაზე ეგრე ილაპარაკოს, იმას კიდევ-ღა შეუძლია თავის ნაწერებში გლეხებს გამოეხარჭლოს, დაბეზღებულ ცხოვრებაზე ცრემლები ღვაროს, თავისუფლებაზე იმღეროს? განა ეს არ არის დაცინვა? განა ეს არ არის თავისი თავის სასაცილოთ აგდება? გეკითხებით თ-დ ილია: ამას შემდეგ ვისზე უფრო ითქმის: ,,წმიდა სახელი და დანიშნულება პრესისა მჭვრათ უკცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზღობის და ცილის-წამების საგნათ გაუხდია და დიდი მოძღვრება ადამიანის ხელუხლებლობისა მარტო თავის სახეიროთ, თავის საფარველათ გარდაუქნია“? ჩვენზე თუ თქვენზე?

ამით ვათავებთ დღეს-დღეისობით საუბარს ილია ჭავჭავაძის შესახებ. შეგვეძლო კიდევ ბევრი გვეთქვა მის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამითაც მოვაბეზრეთ მკითხველებს თავი იმ დროს, როცა სხვა უფრო საინტერესო კითხვები თხოულობენ განსჯა-განმარტება. მხოლოთ აქ კიდევ ერთი სამწუხარო გარემოება უნდა აღვნიშნო. როგორც მოგეხსენებათ ,,დემოკრატობით“ განთქმულმა ,,ივერიამ“ ძლიერ ეჭვის თვალით შეხედა ,,მოგზაურში“ დებეჭდილ კორესპონდენციას ილია ჭავჭავაძის შესახებ და თითქმის წინდაწინვე უარყო მისი საფუძვლიანობა, და თვით ილიას მიმართა თხოვნით: დაამტკიცე იმის უსაფუძვლობაო. გავიდა ხანი, და ილიამაც შეუსრულა თხოვნა განახლებული ,,ივერიის“, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლა; თითქო ძმარი ჩაუსხა ცეცხლში: ბრაზდება არა თუ ვერ დაარღვია, არამედ კიდევ უფრო გაალმა და ზედ მეტი ფაქტები გადმოგვიყარა ,,ივერიისვე“ ფურცლებზე. ახლა რაღას ფიქრობს ნეტა დინჯი და წინ-დახედული ,,ივერია“. ეტყობა ძველი კერპების თაყვანისცემას ჯერ იქ მაგრათ აქვს ფესვები გამდგარი.

ფ. მახარაძე.

ქუთათურის შენიშვნები.

ამას წინეთ მოხდა პირაგოვის ყრილობა მთელ რუსეთის ექიმთა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების შესამუშავებლათ. კრებებზე ნათლათ გამოირკვა, რომ ღონივნ დელ წესწყობილებაში არავითარი კულტურული და დამშვიდებული მუშაობა არ შეიძლება. დღევანდელი პოლიტიკა უსაზღვრო თავგასულობისა, უკანტროლო პოლიტიკაა, რომელსაც ხალხის ბედისწერა ჩაუბარებია იმ ადმინისტრაციისათვის, რომელსაც სახელი სრულიად გატეხილი აქვს. მასვე ჩააბარეს დღეს ხოლერასთან ბრძოლის საქმე და მას დაუქვემდებარეს ამ საქმის ორგანიზაცია. რადგან ექიმებს იმ ხალხთან აქვს საქმე, რომელსაც სრულიად გული აქვს გატეხილი დღევანდელ წესწყობილებასა და მის წარმომადგენლებზე და, მაშასადამე, მისი სახელით და მის ფრთებს ქვეშ შეფარება ექიმებს შეუძლებლათ მიაჩნიათ და სამარცხვინოთ,—ამისათვის პირაგოვის ყრილობამ დაადგინა: სანამ საერთოთ შეცვლილი არ იქნება არსებული წესწყობილება, მანამ ხალხისათვის ნაყოფიერი შრომა შეუძლებელია. კერძოთ დღევანდელ მოსალოდნელ სახალხო უბედურების, ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველათ კრება მოუხერხებლათ ცნობს ექიმებისათვის საერთოთ მონაწილეობა მიიღოს სასანიტარო აღმასრულებელ კომისიებში და ან კიდე შეასრულოს მისი დადგენილებანი; კრებას სათაკილოთ მიაჩნია, რომ ექიმები დარჩენ იმ საზოგადოებრივ, თუ მთავრობის დაწესებულებათა სამსახურში, სადაც ითხოვენ 2 აგვისტოს 1903 წ. შემუშავებულ წესების შესრულებას. ამრიგათ მათ უარყვეს მთავრობის კომისიებში მონაწილეობის მიღება, მაგრამ არ უარობენ კერძო თავიანთი ორგანიზაციით ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლას.

პირაგოვის კრების დადგენილებას ექიმთა ბევრი ორგანიზაციები შეუერთდა პროვინციალურ ქალაქებში. დღეს კავკასიის ორგანიზაციებიც აპირებენ მათ შეერთებას. 10 მაისს ქუთაისის სამკურნალო საზოგადოების კრებაზედაც დააყენა ეს საკითხი ექიმმა დანდაროვმა. მხოლოთ აქ მან ადმინისტრაციულ სასანიტარო კომისიის უსარგებლობა, გარდა თეორეტიულ მოსაზრებისა, პრაქტიკული გამოცდილებითაც დაამტკიცა.

ქუთაისის გუბ. სასანიტარო აღმასრულებელ კომისიასო, თქვა მან, რომელიც ჩინოვნიკური ელემენტებისგან შედგება არავითარი სარგებლობა არ მოაქვს; იგი ხელს უშლის ქალაქის სასანიტარო კომისიას, მაგალითათ, ქალაქის ძლიერ დასახლებულ ნაწილში საპიორის ჯარს ვიტუშინსკის სახლში აქვს ნაქირავები სათავლე. აქ სახლი მეტათ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, აქედან მთელ არემარეში დამპალი, მოშხამული სუნი ვრცელდება. ამის გამო მრავალი სახლის პატრონები ტოვებენ თავიანთ სახლებს და სხვაგან ქირაობენ სადგომებს. იქ კი თავიანთ სახლებს ღარიბებზე ძლიერ იაფათ აქირავებენ; ამ გვარათ მამულებს და სახლებს ფასი დაეკარგათ, ჩივიან მცხოვრებლები და დაგვიხსენით ამ თავლებისაგანო. ქალაქის სასანიტარო კომისიამ რამდენჯერმე შეამოწმა იგი და დაადგინა ამ თავლის დახურვა, მარა საგუბერნიო ამასრულებელმა კომისიამ არ მოიყვანა იგი სისრულეში.

მეორე. ოქმებს ქალაქის სასანიტარო კომისია უგზავნის სისრულეში მოსაყვანათ საგუბერნიო კომისიას. ეს ოქმები შეეხება სასანიტარო სავალდებულო დადგენილების დამრღვევთ, რომელნიც უნდა ჯარიმდებოდენ სიმდიდრე-სიღარიბის კვალობაზე. საგუბერნიო კომისია ამას სრულიად ყურადღებას არ აქცევს (რადგან საიდან იცის მან ვინ მდიდარია, ვინ ღარიბი) და ყველას ერთნაირათ აჯარიმებს და, რაც უფრო გასაკვირია, ამ ფულებს ხაზინას ძენს მაშინ, როდესაც იგი სამართლით ქალაქის თვითმართველობის უნდა იყოს, მცხოვრე-

ბლებისაგან აღებული, მათვე უნდა ხმარდებოდეს. ამისათვის ქალაქის სასანიტარო ექიმებმა თავი გაანებეს მცხოვრებლებისათვის ოქმების შედგენას. ამ რიგათ ისპობა ქალაქის სასანიტარო ექიმების მცხოვრებლების სასარგებლოთ მოქმედება.

მესამე. საგუბერნიო კომისია ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელობს ძველის-ძველი ინსტრუქციებით და არა ახალი მეცნიერებისაგან შემუშავებულ ზომებით.

მეოთხე. საგუბერნიო კომისიამ არ აუკრძალა ჰიათურაში მდ. ყვირილაში შავი-ქვის გარეცხა. ამ ქვის რეცხვით ეს მდინარე რიონის შეერთებამდი ისე ტალახიანდება, რომ მცხოვრებლები მას ველარ ხმარობენ და ამას ყველას უჩივიან, მარა ყურადღებას არავინ აქცევს.

მეხუთე. საგუბერნიო კომისიამ რუსეთიდან მოიწვია ექიმები და ისინი გაუჩერებია ჭუთაისში, სადაც უიმითოთაც ბევრია ექიმები, ხოლო სოფლებში კი უექიმობით წყდებიან. მაგ. რაჭაში, ლეჩხუმს, სვანეთში, ოზურგეთის მაზრაში და სხ. ბევრგან.

მეექვსეთ, დაუმატა ექიმმა დონდაროვმა, საგუბ. კომისიაში მონაწილეობის მიღებით ექიმები დიდ პასუხის მგებლობას ღებულობენ თავის თავზე, რადგან ხალხი მოტყუებული დარჩებათ, მის სასარგებლოთ ვერას გააკეთებენ. ამას გარდა თავის მონაწილეობით მხარს დაუჭერენ ისეთ ორგანიზაციას, რომლის უსარგებლობა მთელმა რუსეთის ექიმთა კრებამ აღიარა და ვისაც გული ერჩის ხალხის სასარგებლოთ იშრომოს, დღეს უმჯობესია ძველი მოქმედი წევრები გამოაკლდეს და ახალი ორგანიზაცია შექმნას და თითონ შეიმუშავოს ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველი ზომები. ამიტომ ჩვენ დღეს არავითარი მათთან შესაერთებელი შუამდგომლობის აღძვრა არ გვჭირდება და მხოლოთ უნდა დავადგინოთ შეუერთდეთ პირაგოვის დადგენილებას და ჩვენ ცალკე ვიმოქმედოთ.

ჰ. დონდაროვის წინადადებას შეუერთდა ი. გომართელი, გ. ნასარიძე, ი. მიხაილოვი და ბეითალი ლანგი და ბოლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რადგან აქ საზოგადოების ყველა წევრები არ არის, ამისათვის ამ სერიოზული საკითხის გადაწყვეტას ჩვენ მარტო ნუ ვიკისრებთო, მისი გადაწყვეტა შემდეგი კრებისათვის გადავდოთ და დავავალოთ წინადადების შემომტანს დაწეროს ამაზე მოხსენება. შემდეგი კრებისათვის გადაწყვიტეს მიიწვიონ მთელი გუბერნიის ექიმები, რომელნიც თუ ვერ დაესწრებიან კრებას, თავიანთ აზრს მაინც გამოუგზავნიან «საზოგადოებას».

ისო.

საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში.

(შემდეგი *)

მთავრობამ გაიმარჯვა ყოველგან, გიზო-ტიერის სამინისტრო გამძლავრდა და აშკარა რეაქციას დაადგა, მაგრამ სა. მაგიეროთ პროლეტარიატი სამუდამოთ შედგა პოლიტიკურ გზაზე.

ჭუჩაზე დამარცხებულ აჯანყებამ კიდევ ერთხელ მიმართა „პირადათ აჯანყებას“—ტერორს. და 28 ივლისს (1835 წ.) მეფეს მეორეთ ესროლეს. ამის პასუხათ გიზო-ტიერის ყურმოჭრილმა პალატამ გამოსცა კანონი პრესის წინააღმდეგ: აკრძალა „მთავრობის პრინციპის“ კრიტიკა, სახელი „რესპუბლიკანელი“-ს ტარება, მონარქის შეცყლის იმედის გამოცხადება და სხ. ამასთანავე გაზეთის გამოცემის გირაო ასწიეს 48 ათასიდან 200 ათას ფრანკამდე. რადგანაც არეულობით პასუხის გაცემა აღარ შეიძლებოდა, 25 ივნისს (1836 წ.) უპასუხეს ისევ ტეროროთ: მეფეს მესამეთ [illegible] მესამეთ დააცილეს; ეს იყო რევოლუციონერების უკანასკნელი სულის ღაფვა! „ადამიანის უფლებები“ და მისი სექციები დაინგრა, მათი წევრებით ციხეები აივსეს, საზოგადოებათა დაარსება აკრძალეს, პრესას მუხრუჭი მოუჭირეს. საჭირო იყო რევოლიუციური ორგანიზაციის შეცვლა და მოძრაობის ხელახლავ გამოწვევა; აი ეს იტვირთა ცნობილმა რევოლიუციონერმა და კომუნისტმა ოგიუსტ ბლანკიმ.

ბლანკი (დაიბადა 1805 წ.) შვილი კონვენტის წევრათ ნამყოფის, სტუდენტობის სკამიდან შედგა პოლიტიკურ ასპარეზზე და 1825 წ. შევიდა კარბონართა საიდუმლო საზოგადოებაში. აქ მან გაიცნო ბაბეფის მეგობარი ბუონაროტი, წევრი ბაბეფის შეთქმულობის, რომლის მიზანი იყო 1705 წ. მთავრობის ხელში ჩაგდება და სოციალისტური წყობილების განხორციელება. ბლანკიმ აქ შეისწავლა ბაბეფის მოძღვრება და ცხოვრების მიზნათ მისი შესრულება დაისახა; ეს განხორციელება უნდა მომხდარიყო არა თვით პროლეტარიატის მიერ, რომელსაც ამ მხრით, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ სანდოთ არ თვლიდენ, არამედ თავგანწირულ ადამიანთა შეთქმულობით, მთავრობის დაპატრონებით და ასე ხალხის მაღლიდან გაბედნიერებით. ბლანკის აზრით საჭიროა პარიჟში დაარსდეს უკიდურესი ცენტრალისტური ორგანიზაცია, მზგავსი იაკობინელთა კლუბისა, რომლის თვითოეული წევრი ყოველ წუთში მზათ არის პირველ მოწოდებისთანავე იარაღით გამოვიდეს და შეფის ბრძანებას უსიტყვოთ დაემორჩილოს. ორგანიზაციის მიზანია ან ხალხის არეულობას სათავეში მოექცეს და ის თავის მიზნის განხორციელებისაკენ მომართოს ან და მოხერხებულ დროზე, როცა საერთო უკმაყოფილება დიდია, თვითონ აჯანყდეს, უკმაყოფილონი თან გაიყოლიოს, საერთო არეულობა გამოწვიოს, მთავრობა ხელში ჩაიგდოს და პარიჟიდან თან და თან მთელ საფრანგეთში სოციალისტური წყობილება დაამკვიდროს. მიზანი პროლეტარული, საშუალება კი იაკობინური (წვრილი ბურჟუაზიული). ეს ბლანკის მთელი პოლიტიკური მოსაზრება. და რადგანაც პროლეტარიატი აქ თუ უბრალო „მასალის“, „ამყოლის“ როლს თამაშობს, ცხადია მისი წინ და წინ გასოციალისტება და განვითარება მეტია: ამიტომაც ბლანკი წინააღმდეგი იყო მოძღვრების, დავის თეორიების, ეს მისი აზრით განხეთქილებას ბადებს ხალხში და ასუსტებს აჯანყების წყურვილს. „პირდაპირ არეულობა, ცოტაოდენი გრძნობები, სულ ბოლოს მოძღვრება“, სწერდა ის მოძღვრების და პროგრამების მოყვარულს რასპაილს. ბლანკი იყო მოქმედების კაცი და ყველა არეულობაში ერია; როცა კარბონართა საზოგადოება დაიშალა ის შევიდა „ხალხის მეგობართა“ ორგანიზაციაში და ის თავმჯდომარე რასპილთან ერთათ 1832 წ. მისცეს სამართალში. აქ მან საჯაროთ პირველათ გამოთქვა თავისი სოციალისტური პროგრამა, პროგრამა „მდიდართა და ღარიბთა“, „ორას-სამას ათას მჩაგვრელთა და ოცდა ათ მილიონ პროლეტართა ბრძოლისა“ გლეხს ის პროლეტარათ თვლის) *).

და აი ეს სოციალისტი იაკობინელი სტუდენტ ბარბესთან და მუშა მარტინ ბერნართან ერთათ 1834 წელს აარსებს საიდუმლო საზოგადოებას სახელათ „ოჯახს“. რადგანაც ბლანკის მიზანი იყო „პირდაპირ არეულობა“, ამიტომ „ოჯახიც“ მილიტარული და უსაშველო კონსპირატიული ორგანიზაცია უდა ყოფილიყო. თვით სამივე დამაარსებელნი შეადგენდენ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ნიშნავს სამ რე-

*) იხ. „მოგზაური“ № 18, მაისი 1905 წ.

*) იხ. წიგნი „პროუჟს დე ფაინგე“ სტატია ბლანკის, 1832 წელს პარიზი.

ვოლიუციურ აგენტს; მხოლოთ ამათ აქვთ საქმე კომიტეტთან, მარა კონსპირაციის უმაღლეს წერტილამდის მისაყვანათ ეს სამი აგენტი არიან თვით დამაარსებელნი, რომელთ ზემოთ უცნობი კომიტეტია. აგენტები ნიშნავენ უბნის კამენდატებს, ესენი „ოჯახთა“ შეფს, ხოლო „ოჯახი“ შედგება არა უმეტეს 12 წევრისა, ერთი ოჯახი მეორეს არ იცნობს, წევრს შეუძლია ხხოლოდ თავის „ოჯახი“ გასცეს, შეფი იცნობს მხოლოთ რამოდენიმე „ოჯახს“, მთელი საიდუმლოება იცის მარტო ცენტრალურმა კომიტეტმა, \ ყოველივე დაწერილი აღკრძალულია. როგორც ხედავთ ეს არის მაღლიდგან ქვემოთ ლოლიკურათ გატარებული ორგანიზაცია. ეს პირველი პოლიტიკური საიდუმლო საზოგადოებაა, სადაც ბერნარის წყალობით მუშები ბლომათ შეიდენ. წევრის მიღება ხდება შემდეგ ნაირათ: კანდიდატი შეყავთ თვალ-ახვეული კონსპირატიულ სადგომში და აქ სამი კაცი ცდის. თავმჯდომარე კითხავს თავის ამხანაგს: „რა მიზნით ვართ აქ შეკრებილი?— ხალხის და კაცობრიობის განთავისუფლებისათვის სამუშაოთ. რა არის ნამდვილი რესპუბლიკანელის სათნოება?—ფხიზლობა, სიყოჩაღე, ძალა, თავის დადება.—რა სასჯელის ღირსია მოღალატე?—სიკვდილის.—ვინ უნდა აასრულოს ეს? საზოგადოების ყველა წევრმა, რომელმაც კი მიიღო თავის უფროსისაგან ამის ბრძანება“. შემდეგ თავმჯდომარე ცდის კანდიდატს და ბოლოს უცხადებს: „ჩვენია მტარვალებმა აგვიკრძალეს პრესა და საზოგადოების შედგენა, ჩვენი მოვალეობაა კიდე მეტი ენერგიით შეერთება და პრესის მაგიერ სიტყვითი პროპაგანდის გაწევა. როცა ჟამი დარეკს, იარაღს შევისხამთ სამშობლოს მოღალატე მთავრობის დასანგრევათ, იქნებით მაშინ ჩვენთან“. კანდიდატი თანხმობის შემდეგ იძლევა ფიცს და თვალიდგან ხსნიან, მისი მოვალეობაა ერთი თოფის და 50 პატრონის შეძენა; თუ დაიჭირეს, ჩვენებაზე უარის თქმა. კომიტეტი უცნობია, ბრძოლის დროს ის გამოეცხადება და უწინამძღვრებს, მანამდის არავითარ მოძრაობაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, დავა მომავალ წყობილებაზე აკრძალულია, ეს კომიტეტის საქმეა, რომელიც ფიქრობს ყველასათვის და მოითხოვს მხოლოთ სრულ მორჩილებას.

„ოჯახთ“ მოწყინდათ მუდამ ბრძოლაზე ლაპარაკი და მუდამ წუწარათ ყოფნა, ერთი წლის შემდეგ მოითხოვეს „ქუჩაზე გამოსვლა“. შეუდგენ მზადებას, გახსნეს ტყვია-წამლის საიდუმლო ფაბრიკა, მარა მიუხედავათ დიდი კონსპირაციისა 1836 წ. მარტში ქარხანა აღმოაჩინეს და დაიჭირეს «ოჯახთა» ყველა შეფი „კომედანტები და აგენტები; გარდა იარაღისა ვერაფერი უნახეს და თითო ოროლი წლის ციხე გადაუწყვიტეს, ამით დაინგრა თვით „საზოგადოებაც“.

განთავისუფლებულ ბერნარმა ბლანკს ხელმძღვანელობით (ციხიდგან) «ოჯახთა» ნანგრევზე ააშენა ახალი საზოგადოება—„წლის ოთხი დრო“. ორგანიზაცია იყო «ოჯახის» სებური, მარა მისი სოციალური ელემენტი გამოიცვალა. რადგანაც დამაარსებელი იყო მუშა, ამიტომ საზოგადოებაშიაც მრავალი მუშა ჩაეწერა და მით პროლეტარიატს დაუახლოვდა. ამ გარემოებამ გამოიწვია გამოცოის შეცვლა და კომუნისტური მოძღვრების წინ წამოყენება. თავმჯდომარე ჰკითხავს კანდიდატს: «ვინ არიან ახლა არისტოკრატები?—შთამომავლობითი არისტოკრატია გაუქმდა 1830 წ. ივლისში, ახლა არისტოკრატებია მდიდრები, რომელნიც შეადგენენ ისეთივე გამთახსიერებელ კლასს, როგორიც იყო პირველი. - უნდა დაემყაროფილდეთ მეფობის მოსპობით?—სრულიათაც არა, საჭიროა მოსპობა თვით არისტოკრატიის და პრივილეგიების, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი იქნება გაკეთებული —მითხარით მოკლეთ პრინციპები?—უნდა ძირიანათ ამოვაღრძეს მეფობა და ყოველნაირი არისტოკრატია და მათ ალაგას დამყარდეს რესპუბლიკა, ე. ი. თანასწორობის მართველობა. ასეთი წყობილების მოსაპოვებლათ საჭიროა რევოლიუციური მთავრობა, რომელიც ხალხს აღადგენს თავის უფლებებში.“ შემდეგ კანდიდატი ფიცულობს: „რესპუბლიკის სახელით ვფიცავ, საუკუნოთ მძულდეს ყველა მეფე, ყველა არისტოკრატი, კაცობრიობის ყველა მჩაგვრელი და სხ.“

ერთი წლის შემდეგ «საზოგადოებაში“ შესაფერი ადგილი დაიჭირეს ტყვეობისაგან განთავისუფლებულ ბლანკიმ და ბარბესმა. 1838 წ. წევრთა რიცხვი ავიდა 1200-დის და კომიტეტმა გადაწყვიტა არეულობის დაწყება. დაამზადეს იარაღი, დანიშნეს არეულობის ადგილები და 1839 წ. მაისის ერთ მშვენიერ დღეს შეფებმა გამოიყვანეს სექციები ქუჩაზე ჩვეულებრივ გასასეირნებლათ. და აი აქ უცებ გამოეცხადათ კომიტეტი: ბლანკი, ბარბესი, ბერნარი და მისცეს არეულობის სიგნალი, საჩქაროთ ჩაამტვრიეს ახლო-მახლო მდებარე იარაღის საწყობი, გამოიტანეს თავის იარაღებიც და ნახევარ საათში შეიარაღებულნი გაეჭანენ საბჭოს და პრეფექტურის ასაღებათ. რადგანაც არაფერი იცოდა, ქუჩის ხალხს მხოლოთ უკვირდა, რა ამბავიაო, და აჯანყებულთ არავინ გაყოლია, როგორც ამას ისინი მოელოდენ. ხელათ გამოწვეულმა ჯარმა რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ აჯანყებულნი გაფანტა, მოთავენი დაიჭირა და სასამართლომ სასტიკი სასჯელი მიუსაჯა: ბლანკის და ბერბერს სიკვდილით დასჯა, რაც საუკუნო კატორგით შეუცვალეს, ბერნარს და მრავალს სხვას საუკუნო ციხე.

ასე დასრულდა ბლანკის შეთქმულობები და მასთან ერთათ შეწყდა რევოლიუციური მოძრაობა. ბლანკისტებმა პოლიტიკური აზრი პროლეტარიატში ფართოდ გაავრცელეს, ამით რევოლიუციას ნიადაგი მოუმზადეს, მაგრამ ამასთანავე მათი ტაკტიკის და ორგანიზაციის უვარგისობა აშკარა შეიქნა. ამ საშვალებით რევოლიუციის გამოწვევა შეუძლებელი გახდა და ის სრულიათ სხვა გზით უნდა წარმოშობილიყო.

როგორც ზევით თქვით, გაბატონებულმა ბურჟუაზიამ ყოველივე ღონე მიიღო მეფის თავის შინაყმათ, თავის ბრძანების ამსრულებლათ გადასაქცევათ. და ის მართლაც ასრულებდა ამ მორჩილის როლს მანამდის, სანამ საერთო მტერი-რევოლიუციური მოძრაობა—ორივეს ერთნაირ განსაცდელს უმზადებდა. მაგრამ როგორც კი მოძრაობა დათრგუნეს, მტერთ ძლიეს, ახალი წყობილება გამაგრდა და საფრთხეც გაქრა, მაშინვე თავი წამოყო ტახტმა და მოინდომა პალატაზე გაბატონება. სასახლემ გიზო-ტიერის სამინისტრო ინტრიგებით დასცა და მის ალაგას თავისი ერთგული მოლეს კაბინეტი ჩააყენა. მოლემ საზოგადო სიმპატიის მოსაპოვებლათ გიზოს „მაგარი პოლიტიკის“ მაგიერ თავისი «რბილი პოლიტიკა» წამოაყენა და მის გასატარებლათ პალატის ხელახალი არჩევანი დანიშნა. გიზო, ტიერი და ოდილიონ-ბარო შეერთდენ „პარლამენტალური პრინციპის“ დასაცავათ და არჩევნებზე სასახლის პარტია დამარცხეს. მიუხედავათ ამისა მოლემ მაინც სცადა თავისი პოლიტიკა და 1838 წ. გახსნილ პალატაში გაილაშქრა ბურჟუაზიის წინააღმდეგ: მან წარმოადგინა პროექტი რკინის გზების სახელმწიფოს მიერ შენებისა. პალატა აყვირდა, ლუკმას გვართმევენ, სახელმწიფო კერძო ინიციატივას ჩაგრავს, კონკურენციას გვიწევენო. შეშინებულმა მოლემ თავის პროექტი უკან წაიღო, ხოლო პალატამ დაადგინა: რკინის გზების გამართვა საქმეა კერძო კომპანიების და არა სახელმწიფოების. ამით ბურჟუაზია დაეპატრონა მიმოსვლას, რაც დღემდის გრძელდებოდა. ორივე პარტიის წინააღმდეგი იყო მხოლოთ უკიდურესი მარცხენა დემოკრატები (რესპუ-

ბლიკელები) ცნობილი ასტრონომის ფრანსუა **არაგოს** მეთაურობით. ესენი თხოულობდენ რკინის გზების მთავრობის მიერ წარმოებას, მარა არა ,,ბურჟუაზიული სახელმწიფოს'', არამედ დემოკრატიულის. საზოგადოთ დემოკრატები პალატაში იყვენ, როგორც თვითონ ამბობდენ, ,,ფანჯრიდან ხალხთან სალაპარაკოთ'', ე. ი. მთელი გამეფებული პოლიტიკური სისტემის კრიტიკით მისი სიდუხჭირის გამოსაშკარავებელათ. არც ერთი კითხვის გარჩევაში მათ ამ დედა აზრისათვის არ ულალატიათ და არც ერთ პარტიასთან—კომპრომისი არ გაუკეთებიათ.

1839 წ. მეფემ ეს ოპოზიციური პალატა დაშალა და შეეცადა ლუი მე-18-სავით თავისი მომხრე უმრავლესობა შეედგინა. ტახტი და ბურჟუაზია ერთმანერთს დაეტაკენ სამკვდრო-სასიცოცხლოთ. არჩევანი დასრულდა ტახტის სრული დამარცხებით და რვა მარტს მოლეს კაბინეტი გადადგა. გამარჯვებულნი—გიზო, ტიერი, ბარო ვერ მორიგდენ ნადავლის გარიგებაში, კაბინეტის შედგენაში და გაჯავრებული მეფე სამინისტროს აბარებს სრულიად გარეშე პირს—სულთს ,,დროებით''. 20 თებერვალს 1840 წ. შეერთებულმა ოპოზიციამ დასცა ეს კაბინეტიც და მეფე იძულებული გახდა ბურჟუაზიას დამორჩილებოდა. რადგანაც გიზო ელჩათ იყო გაგზავნილი ლონდონში, მეფემ ტიერს ჩააბარა მთავრობა ამ სიტყვებით: „ხომ ხედავთ, იძულებული გავხდი თქვენ აგიტანოთ, ავიტანო ჩემი შერცხვენა... თქვენ მემალებით''. ტიერმა რასაკვირველია ამას ყური არ ათხოვა და შეუდგა უფროსობას.

ტიერის ტახტზე გამარჯვება ბაროს პარტიამ თავის გამარჯვებათ მიიღო და გადასწყვიტა მისი დაცვით ,,პარლამენტარული პრინციპის'' ხსნა. ამ ,,ბლოკით'' იწყება დინასტიური ოპოზიციის უკან დაქანება და მთავრობის კუდათ გადაქცევა. მან ახლა გაათეთრა ტიერის ყველა ის პროექტები, რასაც წინეთ აშავებდა (საიდუმლო ფონდი და სხ.). ,,საფრანგეთის ბანკს'' განუახლეს ძველი პრივილეგიები წინააღმდეგ დემოკრატებისა, რომელნიც თხოულობდენ ბანკის სახელმწიფოთ გადაქცევას, სესხის გამოტანის გაადვილებას, პროცენტების დაწევას და სხ. რკინის გზათა კომპანიებს, რომლებშიაც დეპუტატები იყვენ დაინტერესებულნი, პალატამ 30 მილიონი მისცა ,,შემწეობათ''. ერთი სიტყვით გაბატონებულ ბურჟუაზიამ დაამარცხა რა დემოკრატია და ტახტი, თავისუფლათ შეუდგა თავისი კლასის საკეთილდღეოთ მოღვაწეობას.

ქუჩაზე დამარცხებული დემოკრატია დაბრუნდა ხალხის სიღრმეში და იქ მოიპოვა მკვიდრი საბუდარი. პოლიტიკური და სოციალური აზრები ფართოთ ვრცელდება პროლეტარებში. ამ მოძრაობას ხელი შეუწყო ორმა ახლად გამოსულმა წიგნმა: ლუი ბლანის ,,შრომის ორგანიზაციამ'' და კაბეს ,,იკარიაში მოგზაურობამ''. მაშინ როდესაც უკანასკნელი მოთხრობის ფორმით აწერს კომუნისტიურ წყობილების სიმშვენიერეს და მით მკითხველის გრძნობებზე წარმტაცათ მოქმედებს, პირველი პროლეტარიატის სიღატაკის გამოკვლევაა და თავისი მარტივი ენით დაწერილი პროექტებით მკითხველის ჩამაფიქრებელია; აქ ლუი ბლანი მოკლეთ და ნათლათ ამბობდა იმას, რასაც თვითეული მუშა გრძნობდა, მარა კარგათ ვერ წარმოედგინა, ამიტომ ბლანკის წიგნაკი უცებ გახდა პროლეტარიატის სახარებათ, ხოლო ავტორი მის მოციქულათ. აი ამ წიგნაკის შინაარსი: მუშის სიღატაკის მიზეზია მცირე ხელფასი, რასაც ბადებს თვით მუშათა შორის ატეხილი კონკურენცია, მუშა ეცილება მუშას ჭირის დაწევით და ერთმანერთს ღატაკებს, მეორე მხრით ეგევე კონკურენცია ენებს თვით კაპიტალისტებს. ესენიც ერთმანეთს ებრძვიან, შეძლებული ყლაპავს შეუძლებელს, რომ შემდეგ თვით შეიქნეს ჩაყლაპული კიდევ უფრო შეძლებულისაგან. ცხადია კონკურენცია—ეს ომია ყველასი. ყველას წინააღმდეგ და მისი მოსპობა სასარგებლოა ყველა კლასებისათვის. ეს კი შესაძლებელია შრომის შემდეგ ნაირი ორგანიზაციით: მთავრობა იღებს სესხს. ქმნის მრეწველობის უმთავრეს დარგების ,,სოციალურ სახელოსნოებს'', ჩააბარებს მათ მუშათა ასოციაციას საწარმოებლათ. მოგების ერთი ნაწილი იყოფა მუშათა შორის, მეორე ნაწილი იხარჯვის მოხუც-ავათმყოფთა და დასახიჩრებულთა შესანახათ, ხოლო მესამე—შრომის იარაღთა შესაძენათ. კაპიტალისტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კაპიტალის შემოტანით, რისთვისაც ის მიიღებს სარგებელს ხაზინიდან. ეს სოციალური სახელოსნო კონკურენციას გაუწევს კერძო სახელოსნოს და მათ აიძულებს თავისი საქმე სახელმწიფოს მიყიდონ. ასოციაცია გამეფდება ყველა წარმოებაში და მიზეზი საერთო უბედურობისა—კონკურენცია, მოისპობა. კონკურენცია კლავს კონკურენციას. ვაჭრები გადაიქცევიან ,,სოციალურ სახელოსნოთა'' აგენტებათ. მაშასადამე, შრომის ორგანიზაციაა პროლეტარიატის ერთათ ერთი მხსნელი დროშა, აბოლოვებს ლუი ბლანი. მაგრამ ასეთი ღრმა ცვლილების მოხთენა შეუძლია მხოლოთ ,,ხალხის მთავრობას'' უმატებდენ დემოკრატები. საჭიროა დეპუტატთა არჩევნების უფლება მიეცეს ყველა კლასს და ერის ბატონობა გამოცხადდეს. ერთი სიტყვით საარჩევნო რეფორმა აუცილებელი იარაღია სოციალური რეფორმის გასახორციელებლათ.

***

ამ ნაირათ ,,შრომის ორგანიზაცია'' და საარჩევნო რეფორმა შეიქნა პროლეტარიატის და წვრილი ბურჟუაზიის ბრძოლის დროშათ. თექვსმეტ მაისს 1840 წ. არაგო პალატას ურდგენს 240 ათასის პეტიციას, რომელიც რეფორმას თხოულობს. პეტიციის დასასაბუთებლათ წარმოთქმული სიტყვა არაგომ ასე დაათავა: ,,კონკურენცია არის მძვინვარე სენი, მისგან განკურნება აუცილებელია, საჭიროა შრომის ორგანიზაცია, მრეწველობის დღევანდელი წესების ზოგი მუხლის შეცლა''. და ასე პარლამენტის ტრიბუნიდან პირველათ წარმოითქვა სიტყვა ,,შრომის ორგანიზაცია'', რასაც პარიჟის პროლეტარიატი აღფრთოვანებით მიეგება და ამის ავტორს ასი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია მადლობის გამოსაცხადებლათ გაუგზავნა. ერთმა მუშამ დეპუტაციის სახელით ასე მიმართა არაგოს: ,,ყველა ისინი, ვინც პოლიტიკურ მოღვაწეთა დღევანდელ კინკლაობას მაღლა დადგებიან და სოციალურ კითხვას, რომელიც ჩვენ გვეხება, თქვენებრ მამაცურათ წინ წამოაყენებ, ჩვენ თანაგრძნობას და დახმარებას მოელოდენ''. ეს იყო პროლეტარიატის და წვრილი ბურჟუაზიის ოფიციალური დაკავშირება. დემოკრატები გახდენ სოციალური რეფორმის მომხრე, სოციალისტები კი პოლიტიკური. რესპუბლიკანელი გაზეთი ,,ნასიონალი'' გაფიცულ მუშათა დაჭერის და სამართალში მიცემის გამო სწერდა: ,,ახლა ჩვენ მივმართავთ მუშებს, ამიერიდან მაინც შეიგნებენ პოლიტიკური ფორმის მნიშვნელობას! პოლიციის აგენტების და მედიდურ ინტრიგანთა გავლენით ამ ბოლო დროს ბევრ მათგანმა გულწრფელათ დაიჯერა მხოლოთ სოციალური და არა პოლიტიკური რეფორმის საჭიროება. ისინი უარს ყოფდენ იმას, რომ პოლიტიკური რეფორმა არის მიუცილებელი იარაღი სოციალური რეფორმის მოსახდენათ. და აი დღეს აშკარა მაგალითებით ხედავენ პოლიტიკური კითხვის მთელ მნიშვნელობას. მართველობა რომ შეძლებულთა იარაღი არ იყოს, განა მარტო მათ სასარგებლოთ დამუშავდებოდა? წარმოიდგინეთ მართველობა მართლა სოციალური, მართველობა იარაღი

და გამოხატულება ყველას მოთხოვნილების და ინტერესების, წარუდგინეთ მას ის კითხვა, რომელსაც დღეს ხმლით სჭრიან და ნახავთ განსხვავებას: დევნის ალაგს დამყარდება სიმართლე და მუშტის ალაგას უფლება".

პროლეტარიატში თანდათან ვრცელდება ის აზრი, რომ ივლისის მონარქიის დანგრევას და ხალხის ბატონობის გამოცხადებას აუცილებლათ თან მოყვება მუშის კაპიტალისტის უღლისაგან განთავისუფლება. ძისთვის ხალხის გამარჯვება გაბატონებულ ბურჟუაზე ნიშნავდა შრომის გამარჯვებას კაპიტალზე; ამ ილიუზიას (თავის თავის მოტყუილება) ამძლავრებდა მთავრობის რეაქცია.

ტიერის სამინისტრო დასცა საგარეო საქმეებმა, უცხო სახელმწიფოთა კოალიციამ, ისეთი კითხვების გადაჭრისათვის, რომელშიაც პირველი ყოვლისა თვით საფრანგეთიც იყო დაინტერესებული და მას კი არავინ არაფერს არ ეკითხებოდა. ხალხი თხოულობდა ამ შეურაცხყოფისაგან დაცვას, პალატა კი მშვიდობიანობის დარღვევის წინააღმდეგი იყო და შეურაცხყოფის ატანას ქადაგებდა. ამ დავიდარაბით დაცემულ ტიერის ალაგას ოქტომბერში (1840 წ.) მოწვეულ იქმნა გიზო. გიზომ თავშივე განაცხადა: „საჭიროა არა რევოლიუციასთან (ე. ი. ხალხთან) კავშირი ევროპის წინააღმდეგ, არამედ ევროპასთან კავშირი რევოლიუციის წინააღმდეგო". ომი შიგნით. მშვიდობიანობა გარეთ, აი გიზოს სამინისტრო პროგრამა. მან საგარეო საქმეები საგარეო მტრებს (კოალიციას) მიანება, თვითონ კი შინაურ მტრებზე ამხედრდა და პირველ ყოვლისა ოპოზიციის გაზეთები სამართალს მისცა. ხოლო როცა ნაფიც მსაჯულებმა ყველა გაამართლა, მთავრობამ მსაჯულთ სიიდგან მოწინააღმდეგენი გამორიცხა და ასე თავისი ყურ მოჭრილი სასამართლო შეადგინა. გაზეთები დასაჯეს; გადასახადთა გაწერა წაართვეს ადგილობრივ თვითმართველობებს და ხაზინის აგენტებს მიანდეს, რამაც ერთიანათ ააფორიაქა პროვინცია და მრავალ ქალაქებში შეიარაღებული პროტესტი გამოიწვია (ტულუზი, ლილი და სხ.). ეს ძალმომრეობა აღარც „კანონიერ ქვეყნის შვილთ" მოეწონათ და ივნისის არჩევნებზე ბევრი დემოკრატები აირჩიეს, ამათ შორის გამოცხადებული რესპუბლიკანელნი მარი, დუდრულონდა, გარნიე პაჟი და სხვ.".

პალატის ოპოზიციას გარდა დემოკრატთა ბაროს მემარცხნეთა, შეადგენდა აგრეთვე ცენტრის მარცხენა ფრთა ტიერის მეთაურობით, რომელიც სხვის სამინისტროს სთხოვდა ყოველთვის იმას, რასაც მისი სამინისტრო არასოდეს არ ასრულებდა. ტიერის დაცემამ ხელი გაუხსნა დინასტიურ ოპოზიციას და ისიც შეეცადა—წინანდელი დამოუკიდებლობის მოპოვებას. ხოლო როცა გიზოს უმრავლესობამ უარჰყო ბელგიასთან სადმოგნო ხელშეკრულობის პროექტი და მით უარჰყო ჩირდილოეთის ზოგ მრეწველთა სასარგებლოთ და სახელმწიფოთა სასიხარულოთ (ესენი პროტესტს აცხადებდენ) ბელგიასთან დაკავშირება, მაშინ მთავრობას გადაუდგა სახელოვანი პოეტი და მჭერმეტყველი დამარტინი და მიემხრო ოპოზიციას. „შეუძლებელია დიდხანს გზა შეუკრათ თანამედროვე დემოკრატიის განვითარებას", მიაძახა მან ტრიბუნიდან გიზოს. ამავე დროს გამოაშკარავდა სხვა და სხვა ბოროტ მოქმედება; დეპუტატთა ქრთამით არჩევა (ერთმა 150 ათასი დახარჯა), რკინის გზათა კონცესიის სანდო კომპანიების მაგიერ, საეჭვო კომპანიებისათვის მიცემა და სხვა და სხვა. მიუხედავათ ყველა ამისა 1846 წელს არჩევნებმა კიდევ უფრო გაამრავლა გიზოს უმრავლესობა (აირჩიეს 200 მოხელე). გამხნევებული სამინისტრო ემხრობა რუსებს კრაკოვის არეულობის ჩასაქრობათ, შვეიცარიის იეზუიტებს ლიბერალებთან საბრძოლველათ, იტალიის მტარვალთ ნაციონალური მოძრაობის დასამარცხებლათ. საშინაო და საგარეო რეაქციაც. 1847 წ. მოსავლობის გამო შიმშილობა ჩამოვარდა, დამშეულმა გლეხებმა მემამულეთა პურის საწყობები დაარბიეს. შიმშილის არეულობა დაიწყო. მეორე მხრით მრავალი რკინის გზების კომპანიები გაკოტრდენ, მათი აქციები დაეცა ბირჟაზე პანიკა ჩამოვარდა და აღარებელმა ხალხმა ქონება დაკარგა; პურის გასაიაფებლათ მთავრობამ თვით იტვირთა უცხოეთიდან პურის შემოტანა, რასაც მოყვა ოქროს ფულის საფრანგეთიდან გასვლა, „საფრანგეთის ბანკის" დაცარიელება და ფინანსიური კრიზისი, შიმშილობა გლეხობაში, უფულობა და სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი ქალაქებში, აი რით თავდება 1847 წ. ამ დგომარეობიდან გამოსასვლელათ ოპოზიცია განუწყვეტლათ თხოულობდა საარჩევნო რეფორმას, რეაქცია კი დაეწინებით უარს ჰყოფდა. ძალით მოპოვება იმის, რასაც ნებით არ იძლეოდენ აუცილებელი შეიქნა.

დემოკრატთა პარტია გაიყო ორათ: ზომიერები, რომელთა ორგანოა „ნასიონალი" მარატის, მარის, განიაჟის და სხვათა რედაქტორობით, და რადიკალები, რომელთა ორგანოები შექმნა ახალ დაარსებული გაზეთის რეფორმატორმა ლასტრურონელის, ფლოკონის, ლუიბლანის და სხვათა მეთაურობით. რეფორმამ თავისი სოციალურ პროგრამათ გამოაცხადა ლუიბლანის შრომის ორგანიზაცია, ხოლო პოლიტიკურ პროგრამათ დემოკრატიული რესპუბლიკა; პროლეტარიატმა ეს გაზეთი დასახა თავის გაზეთათ და მას გაყვა. რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო. ბანკეტებით, პეტიციებით პროვინციის ოპოზიცია რეფორმას თხოულობს, პარიჟს აყვა კრებებით ქალაქები და მთელი ქვეყანა მღელვარებამ მოიცვა. აი როგორ დაახასიათა ეს მდგომარეობა მთავრობის მომხრე დეპუტატმა ისტორიკოსმა ტოკვილმა 1848 წ. 17 იანვარს პალატის ტრიბუნიდან:

„საზოგადო ზნეობა დაეცა, კერძო პირთა ზნეობა ემსგავსება საზოგადო ზნეობას; მმართველი კლასი იძლევა ყველაზე უფრო საკიცხავ მაგალითებს. მას ხელთ უპყრია ძვირფასი უფლება—თავისუფლათ აირჩიოს ქვეყნის წარმომადგენლები, მაგრამ უფლებას ის კერძო ინტერესების სასარგებლოთ გამოყენებით რყვნის და მასთან ერთათ ირყვნება თვითონ. ზნეობის გრძნობაც კი იკარგება, ამორჩეული და არჩეული, მაღალი და დაბალი მოხელე, ყველა ვინც კი მთავრობაში მონაწილეობას იღებს, მუშობს მხოლოთ თავის სიმდიდრის გასადიდებლათ. როგორ გგონიათ თქვენ, რა გავლენა აქვს ამას პოლიტიკურ უღლებას მოკლებულ კლასებზე? ამბობენ განსაცდელი არაფრისაა, ვინაიდან არეულობა არ არისო; და რადგანაც არეულობა არ არის საზოგადოების ზედაპირზე, რევოლიუცია შორს არისო. უეჭველია რევოლიუცია არ არის ფაქტიურათ, მარა მან ღრმათ დაიბუდა ადამიანის გონებაში. შეხედეთ, რა ხდება მუშათ კლასის სიღრმეში, იმ კლასის, რომელიც მშვიდი არის; მართალია ის ახლა არ არის ატაცებული პოლიტიკური ვნებებით იმდენათ, რამდენათ იყო, მარა ვერ ამჩნევთ, რომ მისი პოლიტიკური ვნება გადაიქცა სოციალურ ვნებათ? ვერ ამჩნევთ, რომ მის გულში ნელ ნელა ძირს იკეთებს ისეთი აზრები და იდეები, რომელნიც ასწავლიან არა მარტო ამა თუ იმ მთავრობის კანონიან სამინისტროს დამხობას, არამედ დამხობას თვით საზოგადოებების, დაშლას თვით იმ ბოძების, რომელზედაც დაყრდნობილია დღევანდელი ცხოვრება; განა არ ფიქრობთ, რომ როცა ასეთი აზრები ფესვებს იდგამს და ხალხს ღრმათ ეკიდება, აღრე თუ გვიან წარმოშობს, არ ვიცი როდის, არ ვიცი როგორ,

მხოლოდ ვიცი, ის როცა იქნება წარმოშობს ყველაზე უსაშინელესს რევოლიუციებს. ასეთია ბატონებო ჩემი ღრმა რწმენა. მე მგონია, რომ ჩვენ ამ ჟამათ გვძინავს ვულკანზე, მე ამაში დარწმუნებული ვარ!!

და აი ერთი თვის შემდეგ ამ ვულკანმა იფეთქა და შვა ორი „უსაშიშრესი“ რევოლიუცია!

ან.

(შემდეგი იქნება).

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

I.

(გაგრძელება) *)

ცვლილება დედაკაცის ეკონომიურ მდგომარეობაში.

სანამ მეფობდა შინაური წარმოება და ქალის შრომა ოჯახისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, მანამ „ქალთა კითხვა“ არ შეიძლებოდა წარმომდგარიყო. მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი მხოლოთ ქალის მდგომარეობის ასე თუ ისე გაუმჯობესებაზე და არა «ქალთა კითხვაზე», ქალის მდგომარეობის ძირითად ცვლილებაზე, რადგანაც, ამასთან ერთათ მთელი მაშინდელი ცხოვრება, მთელი მაშინდელი კულტურა ძირიანათ უნდა შერყეულიყო.

„ქალთა კითხვა“, როგორც თანამედროვე მუშათა კითხვა, შედეგია ცვლილებისა მრეწველობაში, რომელიც გამოიწვია მანქანურმა წარმოებამ, ვაჭრობამ და ელექტრონმა. „ქალთა კითხვა“ არ წარმოადგენს არც პოლიტიკურს და არც ზნეობრივ კითხვას, მიუხედავათ იმისა, რომ მასში პოლიტიკური და ზნეობრივი ელემენტებიც იმყოფებიან.

ეს არის კითხვა ეკონომიური. აზრი ქალთა ემანსიპაციაზე არ შეიძლებოდა დაბადებულიყო მანამდის, სანამ დედაკაცს არ მოევლინა მხსნელათ მანქანა, რომლის ბორბლების გრიალ-ხრიალში ქალს პირველათ მოესმა ხმა თავისუფლებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობისა.

მრეწველობა თან და თან გაფართოვდა, წარმოება, ორთქლისა და მანქანის შემოღებით, თან და თან გაადვილდა. შრომის ნაყოფი გაიაფდა, მათი შეძენა გაადვილდა. ამნაირათ, ქალი თან და თან თავისუფლდება სხვა და სხვა გვარ საოჯახო შრომისგან.

შინაურისა და წვრილ წარმოების მოსპობასთან ერთათ, ქალის ძველებური საოჯახო მოქმედებაც უსათუოთ უნდა მოსპობილიყო.

სხვილი წარმოება იძლეოდა ყველა საგნებს, რაც საჭირო იყო ოჯახისთვის ისე იაფათ, რომ მათი ოჯახში გაკეთება წარმოადგენდა უნაყოფო დროს დაკარგვას... უწინდელი დიასახლისი, რომელიც იჯდა სახლში და, სხვის დაუხმარებლათ, ამზადებდა ოჯახისთვის ყოველ გვარ საჭირო საგნებს: საპონს, სანთელს, ძმარს; რომელიც თითონ ართავდა, ქსოვდა, ღებავდა, კერავდა, ქარგავდა, პურს აცხობდა და ყასბობდა, შეიქმნა დღეს ისტორიულ ანოხრონიზმათ.

საფეიქრო მრეწველობა და ფაბრიკები აწვადებენ დღეს ყოველ გვარ ტანისამოსს; საკონსერვო ფაბრიკები—სხვა და სხვა ტკბილეულობას, წნილებს, დამჟავებულ და დამარილებულ საჭმელებს. ეხლანდელი მრეწველობა იძლევა ამ საგნებს ისე იაფათ, რომ დიასახლისი დაუშუშავებელ, ნედლ მასალასაც ვერ შეიძენს იმ ფასათ.

*) იხ. „მოგზაური“ № 18, მაისი 1905 წ.

რეცხვა და უთოობა დღეს სპეციალისტების ხელში გადავიდა და ეს საქმე თან და თან სხვილ, მანქანურ წარმოების ობიექტათ ხდება; რაც შეეხება საზრდო-სურსათის დამზადებას—ეს საქმე, ეკონომიურ წარმატებასთან ერთათ, თან და თან გადადის ოჯახიდან საზოგადოებაში.

მრეწველობის ბევრგვარმა დარგმა, რომელიც ამ ასი წლის წინეთ სრულებით უცნობი იყო, დღეს უკვე გაანთავისუფლა ქალი უმრავლეს სამზარეულო შრომისაგან.

უზარმაზარი ორთქლის სამზარეულოების შემოღება და საზოგადო გათბობ-განათება ხომ საბოლოოთ დაასრულებს ქალის „სამზარეულო ქვაბ-ქოთნიდან“ განთავისუფლების საქმეს.

ამ ნაირათ, წარმოების განვითარებამ დაარღვია დედაკაცის მოქმედების ეკონომიური საფუძველი ოჯახში, მაგრამ, მის მაგივრათ, შექმნა ახალი პირობები ქალის მოქმედებისთვის საზოგადოებაში, „ცხოვრების ბაზარში“.

რამდენათაც მცირდებოდა სხვა და სხვა საოჯახო საქმეები, იმდენათ ბურჟუაზიული წრის ქალი მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა სიამოვნებას, დროს გატარებას, ქველ მოქმედებას და, ხან და ხან, სერიოზულ გონების განვითარებასაც.

საზოგადოთ ეხლა, როდესაც ქალმა დაკარგა თავისი უწინდელი მნიშვნელობა, როდესაც ეკონომიური პირობები სრულებით გამოიცვალა, ბურჟუაზიული წრის ქალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფუფუნების საგნის როლს თამაშობს, წარმოადგენს იმისთანა ჭმნილებას, რომელიც, თითქო მარტო განცხრომისთვის და მამაკაცის სქესობრივი მოთხოვნილებისთვის იყოს ქვეყნათ გაჩენილი.

წვრილ ბურჟუაზიულ კლასის დედაკაცები და ქალიშვილები, რადგანაც მათი ცხოვრების პირობები სრულებით გამოიცვალენ, იძულებული გახდენ ოჯახიდან გასულიყვენ და საკუთარი ძალღონით დაეკმაყოფილებიათ თავიანთი მოთხოვნილებანი. მათ მოკიდეს ხელი სხვა და სხვა თავისუფალ პროფესიებს (მასწავლებლობას, ავათმყოფთა მოვლას და სხვა) და მრეწველობის იმისთანა დარგებს, რომელნიც ხელოვნებას უახლოვდებიან,

ქალთა ლტოლვილება განათლებისადმი არ გამოუწვევია არც ცოდნის შეძენის სურვილს და არც დედაკაცისა და მამაკაცის სულიერათ გათანასწორების შეგნებას. ასეთი ძირითადი ცვლილება მხოლოთ ეკონომიური პირობების ძალით მოხდა.

საქმე ლუკმა პურს შეეხებოდა, იმ ლუკმა პურს, რომელზედაც უნდა ეზრუნა ქალს თითონ, თუ მარჩენალი კაცი არ აღმოჩნდებოდა მისთვის.

წვრილი ბურჟუაზია თან და თან ქრებოდა და ამავე დროს თან და თან იზრდებოდა ქალთა შორის განათლების სურვილი.

რაც შეეხება იმ ქალებს, რომელნიც თვით მშრომელი ხალხის შვილები იყვენ და საზოგადოების გაღატაკებულ ელემენტების წარმომადგენლებათ ითვლებოდენ, იმავე ეკონომიურმა პირობებმა, რომელთაც ერთიანათ დაშალეს და მოსპეს დედაკაცის უწინდელი მოქმედების ასპარეზი, აღმოუჩინეს მათ სრულებით ახალი შრომის წყარო—ინდუსტრია (მრეწველობა).

ამ გვარათ, ქალთა მოქმედება საბოლოოთ გადავიდა ოჯახიდან საზოგადოებაში.

(შემდეგი იქნება).

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Мая 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.